

გზამკვლევი საქართველოსა და ევროკავშირს შორის მომსახურებით ვაჭრობის სფეროში



**გზამკვლევი საქართველოსა და
ევროკავშირის შორის მომსახურებით
ვაჭრობის სფეროში**



პროექტს „ქართული ბიზნესი ახლოს ევროპასთან“ ახორციელებს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი სააგენტოსთან ანარმე საქარტველოში თანამშრომლობით.

The project “GeClose2EU” is implemented by the Economic Policy Research Center (EPRC) in cooperation with Enterprise Georgia Agency.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია შვედეთის მთავრობის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) პუბლიკაციის შინაარსის შვედეთის მთავრობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the support of Sweden. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and can in no way be taken to reflect the views of the Swedish government”.

სარჩევი

შესავალი	5
მომსახურებით ვაჭრობა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება.....	6
მომსახურებით ვაჭრობის პრინციპები და რეჟიმები	8
მომსახურებით ვაჭრობის კლასიფიკატორი	10
ტერმინების განმარტება	12
ევროკავშირის ქვეყნების მიერ ბაზრის ლიბერალიზაცია არქიტექტურის, არქიტექტურული დიზაინის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს კონსალტინგის სფეროებში.....	13
ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ბაზრის ლიბერალიზაცია სექტორებში	15
ავსტრია	16
ბელგია	19
ბულგარეთი	21
გაერთიანებული სამეფო	23
გერმანია	26
დანია.....	28
ესპანეთი.....	30
ესტონეთი	32
ირლანდია	34
იტალია	36
კვიპროსი.....	38
ლატვია	40
ლიეტუვა.....	42
ლუქსემბურგი.....	44
მალტა	46
ნიდერლანდები	48
პორტუგალია	54
პოლონეთი	56
რუმინეთი	58
საბერძნეთი.....	60
საფრანგეთი.....	62
სლოვაკეთი	64
სლოვენია	66
უნგრეთი.....	68
ფინეთი.....	70
შვედეთი	73
ჩეხეთი.....	79
ხორვატია	81

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია “ქართული ბიზნესი ახლოს ევროპასთან” სამწლიანი პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ. პროექტი დაიწყო 2018 წლის მიწურულს და დასრულდება 2021 წლის შემოდგომაზე. პროექტი ხორციელდება ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი” (EPRC) მიერ “ანარმოვ საქართველოში” სააგენტოსთან თანამშრომლობით. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქართული ინტელექტუალური ბიზნეს სერვისების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში შეირჩა შემდეგი სექტორები: არქიტექტურა-დიზაინი, ბიზნეს საკონსულტაციო და პროგრამული უზრუნველყოფის (IT – Software Development).

პროექტის მიზნების გათვალისწინებით, წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-6 თავის¹ (დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია) ანალიზს. მასში წარმოდგენილია ევროკავშირის თითოეული წევრის (28 ქვეყანა) მიერ, ბაზრის ლიბერალიზაციის თაობაზე, საქართველოს წინაშე აღებული ვალდებულებების, დათქმებისა და შეზღუდვების ანალიზი შემდეგი სექტორებისათვის: არქიტექტურის, არქიტექტურული დიზაინის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს კონსალტინგის სფეროებში.

ზემოაღნიშნული სექტორების მიხედვით დოკუმენტში მოცემულია DCFTA-თ განსაზღვრული ეროვნული რეჟიმის, ბაზარზე დაშვებისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- ჰორიზონტალური დათქმები;
- სექტორის ან ქვე-სექტორის სპეციფიკური დათქმები;

გარდა აღნიშნული ანალიზისა, დოკუმენტში მოცემულია ნიდერლანდების სამეფოსა და შვედეთის სამეფოს მიერ ზემოთ მითითებულ სექტორებში საქართველოსათვის ბაზრების ლიბერალიზაციის დეტალური კვლევა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას:

- ჰორიზონტალური დათქმები;
- სექტორის ან ქვე-სექტორის სპეციფიკური დათქმები;
- ევროკავშირის ქვეყნებში ფილიალების დაფუძნებისა და მათი საშუალებით ევროპელი მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების შესაძლებლობი;
- ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე საქართველოდან მომსახურების მიწოდები;
- ქართველი სპეციალისტების, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე მომსახურების გაწევის შესაძლებლობი.

მეთოდოლოგია

დოკუმენტში მოცემულია ანალიზი, რომელიც მომზადდა სპეციფიკის გათვალისწინებით, რომ ზოგადად მომსახურებით ვაჭრობის სფეროში ეროვნულ მარეგულირებელ კანონმდებლობაზე შეზღუდულია ხელმისაწვდომობა. ანალიზი ეყრდნობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას და ნიდერლანდების სამეფოსა და შვედეთის მიერ მომსახურებით ვაჭრობის სფეროში მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტების ანალიზს, ზემოთ აღნიშნული შეზღუდული ხელმისაწვდომობის ფარგლებში.

¹ <http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/founder/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20XIV.pdf>

მომსახურებით ვაჭრობა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთერთ მნიშვნელოვან შეთანხმებას წარმოადგენს გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ² (GENERAL AGREEMENT ON TRADE IN SERVICES – GATS), რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის იანვრიდან და მასში განსაზღვრულია ყველა ძირითადი წესი და პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში მომსახურებით ვაჭრობის ინტეგრაციისა და ლიბერალიზაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმება არის მრავალმხრივი ხასიათის, რაც გამოიხატა იმაში, რომ მას მხარი დაუჭირა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 140 წევრმა ქვეყანამ. დღევანდელი მონაცემებით, ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 164 ქვეყანა და ყველა მათგანი ორგანიზაციის წევრობასთან ერთად ავტომატურად გახდა შეთანხმების ხელმომწერი.

მომსახურებით ვაჭრობა სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს საერთაშორისო ვაჭრობაში და უკვე 2018 წლის მონაცემებით, შვედეთის ვაჭრობის კომიტეტის მონაცემებით მომსახურებით ვაჭრობა მსოფლიო ვაჭრობის 20%, მსოფლიო ექსპორტის დამატებითი ღირებულების 75% და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 75%-ს აღწევს.

საერთაშორისო ტენდენციის გათვალისწინებით მომსახურებით ვაჭრობა საქართველოსათვისაც მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაციის გზაზე, აღნიშნული კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გაფორმების შემდეგ. აღნიშნული შეთანხმება არის პირველი დოკუმენტი, რომელიც საქართველომ გააფორმა მომსახურებით ვაჭრობის ორმხრივი ლიბერალიზაციის მიზნით და რომელიც ქართულ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს ევროპის ბაზარზე მოახდინონ საკუთარი მომსახურების ექსპორტი. უფრო კონკრეტულად კი DCFTA-ის მე-6 თავი განსაზღვრავს მენარმე სუბიექტების დაფუძნების, მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებისა და ფიზიკური პირების დროებითი წარმომადგენლობის პირობებს და მათი მოპყრობის სტანდარტებს. DCFTA-ის შესაბამისად დაფუძნებისა და მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებისას მხარეებმა უნდა გამოიყენონ ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. შეთანხმებით განსაზღვრულია გამონაკლისები დადგენილი პირობებიდან, რომელიც ძირითადად ეხება საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების, ადამიანების ჯანმრთელობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ზომების მიღებასა და გამოყენებას, თუ ისინი არ წარმოშობს თვითნებურ დისკრიმინაციას.

შეთანხმების XIV დანართის მიხედვით, საქართველო ღებულობს ევროკავშირის ბაზარზე იმაზე უკეთეს დაშვებას, ვიდრე განსაზღვრულია ევროკავშირის ვალდებულებებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. შედეგად, შეთანხმების ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად გამარტივდა საქართველოდან მომსახურების ევროკავშირში ექსპორტი. მომსახურების სფეროში არსებულ ქართულ კომპანიებს მიეცემა საშუალება:

- დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს;
- თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;
- გაუშვან თავიანთი გაყიდვების წარმომადგენლები ევროკავშირში, მათი პროდუქციის გაყიდვის მიზნით მოლაპარაკებების საწარმოებლად;
- ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე საქართველოდან მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირის ბაზარზე;

² https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm

- ქართველ სპეციალისტებს, ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე, მიეცემათ საშუალება გასწიონ მომსახურება ევროკავშირში.

ეროვნული რეგულაციები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული დათქმები მომსახურების ბაზრების ლიბერალიზაციაზე არ ვრცელდება მხარეების შიდა საკანონმდებლო რეგულირებაზე, იმ შემთხვევაში თუ ასეთი კანონმდებლობა არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ გამოყენებული ეროვნული რეგულაციები, რომელიც უკავშირდება ლიცენზირების მოთხოვნებსა და პროცედურებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პროცედურებს, რომლებიც გავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე, განსხვავებულ პირობებს არ ადგენს ამ ქვეყნის მომსახურების მიმწოდებლებისთვის და საქართველოს მომსახურების მიმწოდებლებისთვის, შესაძლოა შეთანხმებაში ამაზე დათქმა არ გაკეთდეს.

მიუხედავად ამისა, DCFTA-ის მომსახურების თავის შესაბამისი ნაწილი ეძღვნება ასეთი ზომებს არსებობის შემთხვევაში მხარეთა მიერ იმის უზრუნველყოფას, რომ ლიცენზირების მოთხოვნებთან და პროცედურებთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან დაკავშირებული ღონისძიებები დაეფუძვნება შემდგომ კრიტერიუმებს: იქნება საჭარო პოლიტიკის მიზნების თანაზომადი, ნათელი და ცალსახა, ობიექტური, წინასწარ დადგენილი, საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, რაც ხელს შეუშლის კომპეტენტურ ორგანოებს თვითნებური ფორმით გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება შეფასების დროს.

შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს, რის შემდეგაც, მნიშვნელოვნად გაადვილდება ქართველი სპეციალისტების მიერ მომსახურების გაწევა ევროკავშირის ქვეყნებში.

მომსახურებით ვაჭრობის პრინციპები და რეჟიმები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, როგორც ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე მომსახურებით ვაჭრობაში განსაზღვრავს და ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ემყარება ყველა ორმხრივი თუ მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს არც საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება DCFTA წარმოადგენს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თანახმად მომსახურებით ვაჭრობა ხორციელდება შემდეგი ფორმებით/რეჟიმებით:

1. **მომსახურების მიწოდება საზღვრებს გარეთ/მიღმა (რეჟიმი 1 – Cross Border Supply)** – მომსახურების მიმწოდებელი ქვეყანა A-დან აწვდის მომსახურებას ქვეყანა B-ს მომხმარებელს ისე, რომ არცერთი მათგანი არ კვეთს საკუთარი ქვეყნის საზღვრებს.
2. **საზღვარგარეთ მოხმარება (რეჟიმი 2 – Consumption Abroad)** – ქვეყანა A-ს მომხმარებელი მომსახურებას იღებს ქვეყანა B-ს მომსახურების მიმწოდებლისგან, ქვეყანა B-ს ტერიტორიაზე.
3. **დაფუძნება/კომერციული წარმომადგენლობა (რეჟიმი 3 – Establishment/Commercial Presence)** – მომსახურების მიწოდება ხდება ქვეყანა A-ს მიმწოდებლის მიერ ქვეყანა B-ს მომხმარებლებისათვის, ქვეყანა B-ში იურიდიული პირის დაფუძნების გზით.
4. **ფიზიკური პირების წარმომადგენლობა კომერციული მიზნებისთვის (რეჟიმი 4 – Presence of Natural Persons)** – ქვეყანა A-ს ფიზიკური პირი, ქვეყანა B-ში აწვდის საკუთარ პროფესიულ მომსახურებას.

ჩამოთვლილი რეჟიმების ფარგლებში განიხილება მომსახურებით ვაჭრობის განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირს შორის. დოკუმენტის სექტორულ ნაწილში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი სამიზნე მომსახურებების ანალიზი აღნიშნული რეჟიმების კონტექსტში, რაც შესაძლებლობას მისცემს ქართულ კომპანიებს დაგეგმონ ევროკავშირის ბაზარზე შესვლა და წინასწარ ქონდეთ ინფორმაცია რა ფორმით შეუძლიათ საკუთარი მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ბაზრისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზი არ მოიცავს ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოსათვის მომსახურებით ვაჭრობის სფეროს ლიბერალიზაციას მეორე რეჟიმის ფარგლებში ვინაიდან, აღნიშნული რეჟიმი სრულად ლიბერალიზებულია იმის გათვალისწინებით, რომ იგი გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების მიღებას.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, **ფიზიკური პირების წარმომადგენლობა კომერციული მიზნებისთვის** ნაწილის ქვეშ მესამე რეჟიმის ფარგლებში გულისხმობს:

- **საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებს:** ფიზიკურ პირებს, დასაქმებულებს ერთი მხარის იურიდიულ პირში, რომელსაც გაფორმებული აქვს კონტრაქტი მეორე მხარის საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდებისათვის, რაც მოითხოვს მისი დასაქმებულების მეორე მხარეში დროებით ყოფნას კონტრაქტის შესრულების მიზნით.
- **დამოუკიდებელ პროფესიონალებს:** გულისხმობს ერთი მხარის თვითდასაქმებულ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც გაფორმებული აქვთ კონტრაქტი მეორე მხარეში საბოლოო მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების მიზნით, რომელიც მოითხოვს მათ დროებით ყოფნას ამ მხარეში კონტრაქტის შესრულების მიზნით.

იმ სექტორებში, სადაც აღებულია **ბაზარზე დაშვების** ვალდებულება, ანუ ლიბერალიზაცია, ქვეყანამ არ უნდა შეინარჩუნოს ან შემოიღოს შემდეგი ზომები/შეზღუდვები:

- (ა) შეზღუდვები მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობაზე, რაოდენობრივი კვოტების, მონოპოლიების, მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნების ფორმით;

- (ბ) შეზღუდვები მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგებების ან აქტივების მთლიან ღირებულებაზე, რაოდენობრივი კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით;
- (გ) შეზღუდვები მომსახურების ოპერაციების მთლიან რაოდენობაზე ან წარმოებული მომსახურების მთლიან რაოდენობაზე, გამოსახულს დადგენილ რაოდენობრივ ერთეულებში კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული DCFTA-ს შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის სფეროში ასევე ეყრდნობა ეროვნული რეჟიმის (National Treatment) და უპირატესი ხელშეწყობის (Most Favoured Nations) პრინციპებს. სწორედ ამ პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული რეჟიმებით ვაჭრობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. შეთანხმების თანახმად საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების, მისი ფილიალებისა და იურიდიული პირების წარმომადგენლობების მომსახურებით ვაჭრობის დროს ევროკავშირმა იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი უნდა შეუქმნას, ვიდრე საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს და წარმომადგენლობებს. ასეთივე ვალდებულება გააჩნია საქართველოს ევროპული კომპანიების წინაშე, აღნიშნული წარმომადგენს ეროვნული რეჟიმის პრინციპს. ამასთანავე, უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გათვალისწინებით ევროკავშირში საქართველოში დაფუძნებულ კომპანიებს, მათ ფილიალებსა და იურიდიული პირების წარმომადგენლობების საქმიანობას, მათი დაფუძნების შემდეგ, იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი უნდა მიანიჭონ ვიდრე ანიჭებს საკუთარ იურიდიულ პირებს, მათ ფილიალებს და წარმომადგენლობებს ან რომელიმე მესამე ქვეყნის შვილობილ კომპანიებს, ფილიალებს და წარმომადგენლობებს, რომელიც იქნება უპირატესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ ვრცელდება ინვესტიციების დაცვის ღონისძიებებზე, რაც არ შედის ამ თავში, მათ შორის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უკავშირდება ინვესტორისა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების პროცედურებს, რომელიც განსაზღვრულია სხვა ხელშეკრულებით.

როგორც ზემოთ არის განხილული ბაზარზე დაშვების პრინციპის ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებას მეორე მხარის კომპანიებს, ამ კომპანიების ფილიალებს და იურიდიული პირების წარმომადგენლებს საკუთარ ბაზარზე დაშვების დროს სრულად მიანიჭონ ის შესაძლებლობები რომლების თავისუფლად დაშვების შესახებ ვალდებულება აქვთ აღებული DCFTA-ს შესაბამისი დანართებით.

მომსახურებით ვაჭრობის კლასიფიკატორი

საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც პროდუქტებით ისე მომსახურებით ვაჭრობის დროს მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ვაჭრობის ობიექტი. ვაჭრობის ობიექტის სწორად განსაზღვრისათვის გამოიყენება პროდუქტის/საქონლის კლასიფიკატორები, დოკუმენტი სადაც თითოეულ პროდუქტს/საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდი, იმისათვის რომ მოხდეს საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკის წარმოება, ხელი შეეწყოს პროდუქტის/საქონლის და მომსახურების ერთგვარ აღქმას მსოფლიო მასშტაბით და გაადვილდეს, როგორც საბაჟო ორგანოებს, ისე მეწარმეებს შორის კავშირი.

აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული DCFTA-ს შეთანხმებაც, როგორც პროდუქტებით/საქონლით ვაჭრობის ისე, მომსახურებით ვაჭრობის სფეროში ეყრდნობა შესაბამის კლასიფიკატორებს. შეთანხმების თანახმად, კერძოდ შეთანხმების დანართი XIV-B, „ვალდებულებების ჩამონათვალი საზღვრებს გარეთ მომსახურებაზე (ევროკავშირი)“, ინდივიდუალური სექტორებისა და ქვესექტორების იდენტიფიცირებისას იყენებს შემდეგ კლასიფიკატორებს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკური დოკუმენტს – Series M, N° 77, CPC prov, 1991 3 და დოკუმენტი – Series M, N° 77, CPC ver 1.0, 1998 4.

მითითებული კლასიფიკატორის მიხედვით მომსახურებით ვაჭრობა შედგება შემდეგი მომსახურებებისაგან:

1. ბიზნეს მომსახურება

- A. პროფესიული მომსახურება
- B. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება
- C. კვლევისა და განვითარების მომსახურება
- D. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება
- E. ოპერატორის გარეშე გაქირავების/ლიზინგის მომსახურება
- F. სხვა ბიზნეს მომსახურება

2. საკომუნიკაციო მომსახურება

- A. საფოსტო მომსახურება
- B. საკურიერო მომსახურება
- C. სატელეკომუნიკაციო მომსახურება
- D. აუდიოვიზუალური მომსახურება
- E. სხვა

3. მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება

4. სადისტრიბუციო მომსახურება

5. საგანმანათლებლო მომსახურება

6. გარემოსდაცვითი მომსახურება

7. ფინანსური მომსახურება

- A. ყველა სახის სადაზღვევო და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება
- B. საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურება
- C. სხვა

8. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სოციალური მომსახურება

9. ტურიზმი და მოგზაურობასთან დაკავშირებული მომსახურება

10. გამატანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება

³ https://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/cpc_provisional_complete_e.pdf

⁴ https://unstats.un.org/unsd/classifications/Econ/Download/In%20Text/CPCprov_english.pdf

11. სატრანსპორტო მომსახურება

- A. საზღვაო ტრანსპორტის მომსახურება
- B. შიდა წყლების ტრანსპორტის მომსახურება
- C. საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება
- D. კოსმოსური ტრანსპორტის მომსახურება
- E. სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურება
- F. საგზაო ტრანსპორტის მომსახურება
- G. მილსადენი ტრანსპორტი
- H. ტრანსპორტის ყველა სახეობასთან დაკავშირებული მომსახურება
- I. სხვა სატრანსპორტო მომსახურება

12. სხვა მომსახურება, რომელიც სხვა კატეგორიებში არ შედის

ზემოაღნიშნული კლასიფიკატორის შესაბამისად, განისაზღვრა იმ მომსახურებების ჩამონათვალი, რომელთა შესახებ არსებული შეზღუდვები და ბაზარზე დაშვების პირობები გაანალიზებულ იქნება ქვემოთ, ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. წინამდებარე დოკუმენტის შესწავლის საგანია შემდეგი მომსახურებები:

არქიტექტურული მომსახურება, რომელიც მოიცავს შემდეგ მომსახურებებს – მრჩეველი და დიზაინის წინა არქიტექტურული მომსახურება (86711), არქიტექტურული დიზაინი (86712), არქიტექტურული კონტრაქტის მართვის მომსახურება (86713), არქიტექტურული დიზაინისა და კონტრაქტის მართვის კომბინირებული მომსახურება (86714), სხვა არქიტექტურული მომსახურება (86715).

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება – ურბანული დაგეგმვა (86741) და ლანდშაფტის არქიტექტურა (86742).

სპეციალური დიზაინის მომსახურება – ავეჯის დიზაინი, ინტერიერის დიზაინი, დეკორი და სხვა (87907).

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მომსახურება (ICT) – საკონსულტაციო მომსახურება კომპიუტერული მოწყობილობების ინსტალაციისათვის (841), კომპიუტერული პროგრამის ინსტალაცია, მათ შორის დიზაინი, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სისტემური ანალიზი და სხვა (842), მონაცემთა პროცესინგის მომსახურება (843), მონაცემთა ბაზების მომსახურება (844), საოფისე კომპიუტერული აღჭურვილობის შეკეთება და მოვლა (845) და სხვა მომსახურებები.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება – ფინანსური აუდიტის მომსახურება (86211), აღრიცხვა/ბუღალტრული მომსახურება (86212), ფინანსური ანგარიშის მომზადება (86213) და სხვა.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება – ბაზრის მოკვლევის მომსახურება (86401) და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება (86402).

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება – კონსულტაცია ზოგად მენეჯმენტში (86501), ფინანსური მენეჯმენტის კონსულტირება (86502), მარკეტინგის მენეჯმენტის კონსულტირება (86503), ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (86504), წარმოების მენეჯმენტი (86505), საზოგადოებასთან ურთიერთობა (86506) და სხვა.

პროექტების მართვის მომსახურება – სამშენებლო და არქიტექტურული პროექტების გარდა სხვა პროექტების მონიტორინგსა და ზედამხედველობის განხორციელებაში კონსულტაცია (86601).

ტერმინების განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ განმარტება შემდეგი მნიშვნელობით:

ტერმინი „ლიბერალიზებული“ გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ ქართული ფიზიკური პირების ან კომპანიებისათვის DCFTA-ს ფარგლებში სრულად გახსნილია ბაზარი კონკრეტული საქმიანობისათვის და მათ შეუძლიათ საქმიანობის წარმართვა შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე ლიბერალიზაციის ფარგლებში ევროკავშირის წევრ ქვეყანას არ შეუძლია არც მომავალში რაიმე სახის ბარიერის შექმნა ქართული კომპანიებისათვის.

ტერმინი „ვალდებულება არ აქვს აღებული“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირის წევრ ქვეყანას ვალდებულება არ აქვს აღებული კონკრეტული საქმიანობის ფარგლებში ბაზარზე ქართული კომპანიების დაშვების შემთხვევაში არადისკრიმინაციის შესახებ. მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა, შესაძლებელია კონკრეტულ ქვეყანას რეალურად მოცემულ მომენტში შემზღუდველი ზომები არ გააჩნდეს ქართული კომპანიებისათვის ბაზარზე დაშვებისთვის, თუმცა იტოვებს უფლებას მომავალში მიიღოს გარკვეული შეზღუდვები თუ ეს ქვეყანა ასე ჩათვლის საჭიროდ.

ტერმინი „ეკონომიკური საჭიროების ტესტი“ აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს გარკვეული სახით ბაზარზე დაშვების შეზღუდვას ეროვნული მიდგომის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არ არის განსაზღვრული არც განმარტება და არც წესები თუ რა შემთხვევაში და როგორ შეიძლება იყოს გამოყენებული მითითებული შეზღუდვა, ამიტომ „ეკონომიკური საჭიროებების ტესტი“ ქვეყნების მიერ გამოიყენება ბაზარზე დაშვების შეზღუდვისათვის.

ევროკავშირის ქვეყნების მიერ ბაზრის ლიბერალიზაცია არჩიტექტურის, არჩიტექტურული დიზაინის, საინჟინერო-ტიქნოლოგიებისა და ბიზნეს კონსალტინგის სფეროებში

DCFTA-ს შესაბამისად საქართველოსა და ევროკავშირს შორის მომსახურებით ვაჭრობის სფეროში ბაზრის ლიბერალიზაცია განსაზღვრულია ორ დონეზე ჰორიზონტალურ და სექტორულ. ჰორიზონტალურ დონეზე ბაზრის ლიბერალიზაცია ხორციელდება ევროკავშირის, როგორც ერთი მთლიანის, და ასევე წევრი ქვეყნების მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული წევრი ქვეყანა ან მთლიანად ევროკავშირი მოცემულ ზომას ავრცელებს ყველა სექტორზე ჰორიზონტალურად. სექტორულ დონეზე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაცია კონკრეტული სექტორისთვის, თუმცა ასევე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჰორიზონტალური შეზღუდვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დოკუმენტის ამ ნაწილში წარმოდგენილი იქნება, როგორც ჰორიზონტალური ისე სექტორული ლიბერალიზაცია მომსახურებით ვაჭრობის სექტორში ზემოთ აღნიშნულ მომსახურებების სფეროებში.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ბაზრის ჰორიზონტალური ლიბერალიზაცია

მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდების კუთხით ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დადგენილია მსგავსი ჰორიზონტალური შეზღუდვები, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს შეზღუდვები ვრცელდება ყველა შესაბამის სექტორსა თუ ქვესექტორზე.

მესამე რეჟიმის ფარგლებში სხვა ბიზნეს მომსახურების სექტორში ევროკავშირის მიერ, გარდა უნგრეთისა და შვედეთისა ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შიდა დამხმარე პერსონალის, სხვა კომერციული და ინდუსტრიული მუშაკების, ძიძების და სხვა პერსონალის მომსახურების მიწოდებაზე. ასევე, სავალდებულოა რეზიდენტობა და კომერციული წარმომადგენლობა და შესაძლებელია მოქალაქეობის მოთხოვნის დაწესება.

ევროკავშირის მიერ, გარდა ბელგია, დანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, იტალია, ლიეტუვა, ნიდერლანდები, შვედეთი და დიდი ბრიტანეთისა პერსონალის დასაქმება და მომსახურების მიწოდება წარმოადგენს მოქალაქეობისა და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანს.

მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ძირითადი პერსონალი, სტაჟირება და ბიზნეს გამყიდველები, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალების მომსახურება საჭიროა დიპლომების ორმხრივი აღიარება ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის მასშტაბის კვალიფიკაციის აღიარების მიზნით, საჭიროა ორმხრივი აღიარების ხელშეკრულება, რომელზე მოლაპარაკება უნდა განხორციელდეს DCFTA-ს შეთანხმების 96-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში რეგულირებადი პროფესიული მომსახურების განხორციელება არ ანიჭებს სხვა წევრ ქვეყანაში საქმიანობის უფლებას.

თუმცა ევროკავშირი უშვებს შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი ან კვალიფიკაცია არ იქნა მიღებული იმ მხარის მიერ, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება, ამ მხარეს ინდივიდუალურად შეუძლია შეაფასოს, არის თუ არა ის ეკვივალენტური მის ტერიტორიაზე მოთხოვნილი საუნივერსიტეტო დიპლომისა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული DCFTA-ს შეთანხმების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტში განხილული სერვისებიდან ზოგა-

დი შეზღუდვები ევროკავშირის ჰორიზონტალური შეზღუდვების ნაწილში განსაზღვრულია მხოლოდ კვლევისა და მომსახურებისათვის. შეზღუდვა ეხება მხოლოდ საჯარო ფინანსებით დაფინანსებულ კვლევებს და განვითარების მომსახურებას. შეზღუდვის თანახმად საჯაროდ დაფინანსებული კვლევისა და განვითარების მომსახურებისთვის, ექსკლუზიური უფლება და/ან ავტორიზაცია შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია სათანო ოფისი ევროკავშირში.



ევროკავშირის წევრი
ქვეყნების მიერ ბაზრის
ლიბერალიზაცია სექტორებში

ავსტრია

ვიდრე უშუალოდ სექტორების ანალიზს დავიწყებდეთ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიას შეთანხმებაში აქვს წარმოდგენილი ჰორიზონტალური შეზღუდვა ქართველი ფიზიკური პირებისათვის, რომლის თანახმადაც, ავსტრიაში დაფუძნებულ იურიდიულ პირების ფილიალების მმართველი დირექტორები უნდა იყვნენ ავსტრიის რეზიდენტები, ხოლო ფიზიკური პირები რომლების პასუხისმგებლები არიან ავსტრიის ვაჭრობის აქტის პირობების დაცვაზე, უნდა გააჩნდეთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ავსტრიაში.

ასევე, ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, მენეჯმენტის საკონსულტაციო და პროექტების მართვის მომსახურებებთან დაკავშირებით პერსონალის დასაქმება და მომსახურების მიწოდება წარმოადგენს მოქალაქეობისა და რეზიდენტობის მთხოვნის საგანს.

ასევე, ბუღალტრულ აღრიცხვასთან, აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი პირების წილობრივი მონაწილეობა და ხმის უფლება არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

აღნიშნულ სექტორებში ავსტრიის მიერ პირველ რეჟიმის ფარგლებში ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ურბანული დაგეგმარების მომსახურებისა, რომელიც ავსტრიის მიერ ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით. ასევე ლიბერალიზებული მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში, თუმცა აქვს შეზღუდვა ქართველი მმართველ დირექტორების დასაქმებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვა). რაც შეეხება, მეოთხე რეჟიმს. ავსტრიას ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება აქვს აღებული მხოლოდ ურბანული დაგეგმარების მომსახურებაში, რაზეც ასევე დაწესებული აქვს შეზღუდვა ეკონომიური საჭიროების ტესტის სახით.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეტის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება, პირველი რეჟიმის, ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. მესამე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდებისათვის, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ავსტრიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტისათვის მოიცავს საკონსულტაციო მომსახურება კომპიუტერული მოწყობილობების ინსტალაციისათვის, კომპიუტერული პროგრამის ინსტალაციას, მათ შორის დიზაინს, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სისტემური ანალიზს, მონაცემთა პროცესინგის მომსახურებას, მონაცემთა ბაზების მომსახურებას, საოფისე კომპიუტერული აღჭურვილობის შეკეთებასა და მოვლას ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის პირველი რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდებას, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ავსტრიას იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში ქართული კომპანიებისათვის ავსტრიას აქვს მოქალაქეობის მოთხოვნა იმ პირებზე, რომლებიც წამომადგენლები იქნებიან ავსტრიის კომპეტენტურ ორგანოებში. რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, მოთხოვნილია, რომ საქართველოში პირის დამსაქმებელი უნდა იყო შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აუდიტორული მომსახურების, პირველი რეჟიმით, მიწოდების ნაწილში ავსტრიას აქვს მოქალაქეობის მოთხოვნა იმ პირებზე, რომლებიც წამომადგენლები იქნებიან ავსტრიის კომპეტენტურ ორგანოებში და ასევე, ახორციელებენ აუდიტს მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ: სააქციო საზოგადოების კანონი, საფონდო ბირჟის კანონი, კანონი ბანკების შესახებ და სხვა.). რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ გააჩნია, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ავსტრიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ბაზრის კვლევასა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ავსტრიას ვალდებულება არ აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები ეროვნულ დონეზე.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მოიცავს კონსულტაციას ზოგად მენეჯმენტში, ფინანსური მენეჯმენტის კონსულტირებას, მარკეტინგის მენეჯმენტის კონსულტირებას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, წარმოების მენეჯმენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სხვა პირველი რეჟიმის ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის ავსტრიაში. რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, აღნიშნული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით, ავსტრია ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურება მოიცავს ყველა პროექტის მართვის მომსახურებას გარდა სამშენებლო პროექტების მართვისა. აღნიშნული ასევე მოიცავს პროექტების მართვის ზედამხედველობას და პროექტების მართვაში კონსულტაციას. აღნიშნული მომსახურება საქართველოს მოქალაქეებისათვის სრულად ლიბერალიზებულია ავსტრიაში პირველი რე-

უიმის ფარგლებში. რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეუიმის ფარგლებაში, ავსტრიას, დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს, თუმცა აქვს შეზღუდვა დაწესებული დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე (იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვები). მეოთხე რეუიმის ფარგლებში, აღნიშნული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით, ავსტრია იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.



შენიშვნა: წრეში მითითებული ციფრი ნიშნავს რეუიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება



დიზაინი



კომპიუტერული მომსახურება



ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი



ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა



მენეჯმენტის კონსულტაცია



პროექტების მართვა



არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

ბელგიის მიერ როგორც არქიტექტურული ასევე, ლანდშაფტის დიზაინის მომსახურების მიწოდებისთვის, პირველ რეჟიმის ფარგლებში, ვალდებულება აღებული არ არის. ასევე, სრულად ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო, მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგია ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება, პირველი რეჟიმის, ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ქართული კოპანიებისათვის. ასევე, სრულად ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო, მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტისთვის მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას კომპიუტერული მოწყობილობების ინსტალაციისათვის, კომპიუტერული პროგრამის ინსტალაციას, მათ შორის დიზაინს, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სისტემური ანალიზს, მონაცემთა პროცესინგის მომსახურებას, მონაცემთა ბაზების მომსახურებას, საოფისე კომპიუტერული აღჭურვილობის შეკეთებასა და მოვლას ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის პირველი რეჟიმის ფარგლებში. ასევე, სრულად ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგიას ვალდებულება არ აქვს აღებული. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგია ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში ქართული კომპანიებისათვის ბელგიის ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდებას მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

აუდიტორული მომსახურების, პირველი რეჟიმით, მიწოდების ნაწილში ბელგიას ვალდებულება არ აქვს აღებული. რაც შეეხება, მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში ბელგიის ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სერვისის მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში არ გააჩნია შეზღუდვები, რაც გულისხმობს იმას, რომ სფერო მთლიანად ლიბერალიზებულია. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში,

საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბელგიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება პირველი რეჟიმის ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის ბელგიაში. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. მეოთხე რეჟიმით მიწოდებისას დამოუკიდებელი პროფესიონალებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნად ეკონომიკური საჭიროებების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურება საქართველოს მოქალაქეებისათვის სრულად ლიბერალიზებულია ბელგიაში პირველი რეჟიმის ფარგლებში. ბელგიაში. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბულალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4

ბულგარეთი

ვიდრე უშუალოდ სექტორების ანალიზს დავიწყებდეთ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთს შეთანხმებაში აქვს წარმოდგენილი ჰორიზონტალური შეზღუდვა კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირებთან დაკავშირებით, კერძოდ მსგავსი პირების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ბულგარეთის შესაბამისი იურიდიული პირის მიერ დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქეების საშუალო წლიური მაჩვენებლის 10%-ს. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულთა რიცხვი 100-ზე ნაკლებია, კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირების რიცხვი, ავტორიზაციის შესაბამისად, შეიძლება აღემატებოდეს მთლიან დასაქმებულთა 10%-ს.

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული როგორც არქიტექტურული ასევე, ლანდშაფტის დიზაინის მომსახურების მიწოდება, პირველი რეჟიმის ფარგლებში, სრულად ლიბერალიზებულია. რაც შეეხება მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში, ბულგარეთს დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვა დაწესებული არ აქვს, თუმცა დაწესებული აქვს შეზღუდვა დაფუძნების შემდგომ საქმიანობის განხორციელებაზე. კერძოდ ურბანული დაგეგმარების და სივრცითი არქიტექტურული მომსახურების შემთხვევაში ამ იურიდიულ პირში დასაქმებული მომსახურების მიმწოდებლისთვის მოქალაქეობის ფლობა სავალდებულოა. ასევე, არქიტექტურულ მომსახურებასთან, ურბანული დაგეგმარებისა და სივრცით არქიტექტურულ მომსახურებასთან, საინჟინრო და ინტეგრირებულ საინჟინრო მომსახურებასთან მიმართებაში, ქართული კომპანიები, რომლებიც არიან აღიარებული ლიცენზირებული დიზაინერები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოიკვლიონ და დააპროექტონ სამუშაოები ბულგარეთში, მხოლოდ კონკურსის მოგებისა და სატარო შესყიდვების აქტის მიხედვით განსაზღვრული პირობების და პროცედურების შესაბამისად კონტრაქტორებად არჩევის შემდეგ. გარდა ამისა, ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის პროექტების შემთხვევაში, ქართველმა მეწარმეებმა საქმიანობა უნდა აწარმოონ ადგილობრივ მეწარმეებთან პარტნიორობის შექმნის გზით ან როგორც ადგილობრივი მეწარმეების ქვეკონტრაქტორებმა. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბულგარეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი. ამასთან, უცხოელ სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება მშენებლობის სფეროში. მოქალაქეობის მოთხოვნა ურბანული დაგეგმარების და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურებისთვის.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება, პირველი რეჟიმის, ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. ასევე, სრულად ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბულგარეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტისათვის მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას კომპიუტერული მოწყობილობების ინსტალაციისათვის, კომპიუტერული პროგრამის ინსტალაციას, მათ შორის დიზაინს, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სისტემური ანალიზს, მონაცემთა პროცესინგის მომსახურებას, მონაცემთა ბაზების მომსახურებას, საოფისე კომპიუტერული აღჭურვილობის შეკეთებასა და მოვლას ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის პირველი რეჟიმის ფარგლებში. ასევე, სრულად ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო, მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბულგარეთს ვალდებულება არ აქვს აღებული თუმცა ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში ქართული კომპანიებისათვის ბუღალრეთის ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო, მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბუღალრეთ იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

აუდიტორული მომსახურების, პირველი რეჟიმით, მიწოდების ნაწილში ბუღალრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული. რაც შეეხება, მომსახურების მიწოდებას მესამე რეჟიმის ფარგლებში ბუღალრეთს ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბუღალრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა


ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სერვისის მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში არ გააჩნია შეზღუდვები, რაც გულისხმობს იმას, რომ სფერო მთლიანად ლიბერალიზებულია. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო, მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბუღალრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება, პირველი რეჟიმის ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის ბუღალრეთში. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბუღალრეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურება საქართველოს მოქალაქეებისათვის სრულად ლიბერალიზებულია ბელგიაში პირველი რეჟიმის ფარგლებში. ბუღალრეთში. ასევე, ლიბერალიზებულია მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში. ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, საკონტრაქტო მომსახურებების მიმწოდებლებზე, ბუღალრეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.



ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბუღალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4

გაერთიანებული სამეფო

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული მომსახურების, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების, პირველი რეჟიმით მიწოდების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიიდან ბრიტანეთში მომსახურების მიწოდებას, ბრიტანეთი ვალდებულია იღებს ყოველგვარი დათქმების გარეშე, რაც ნიშნავს იმას რომ ასეთი მომსახურების მოწოდება პირველი რეჟიმის ლიბერალიზებულია.

მომსახურების მიწოდების მესამე რეჟიმზე, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შიდა დამხმარე პერსონალის მომსახურების მიწოდებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია არსებობდეს ეროვნული რეგულირება ამ სეგმენტისათვის. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის შემთხვევაში, პერსონალის დასაქმება და მომსახურების მიწოდება არ წარმოადგენს მოქალაქეობისა და რეზიდენტობის მოთხოვნის საგანს.

რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, მითითებულ სექტორში მომუშავე ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნეს გამყიდველებზე, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში რეგულირებადი პროფესიული მომსახურების განხორციელება არ ანიჭებს სხვა წევრ ქვეყანაში საქმიანობის უფლებას.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის,ა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კოპანიებისათვის. აღნიშნული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ICT

კომპიუტერულ და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას, პირველი რეჟიმის ფარგლებში, ბრიტანეთს არ აქვს დაწესებული არანაირი შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის. რაც გულისხმობს იმას რომ, მომსახურების ამ კონკრეტულ სექტორში ბაზარი სრულიად ლიბერალიზებულია/გახსნილია და გაერთიანებულ სამეფოს არ აქვს უფლება, შემოიღოს ან შეინარჩუნოს შეზღუდვა. შესაბამისად, ბრიტანელ მომხმარებელს აქვს საშუალება მიიღოს მომსახურება ქართველი მიმწოდებლისგან მის ტერიტორიაზე.

მომსახურების მიწოდების მესამე რეჟიმით, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული შიდა დამხმარე პერსონალის, სხვა კომერციული და ინდუსტრიული მუშაკების თუ სხვა პერსონალის მომსახურების მიწოდებაზე. შესაბამისად, შესაძლებელია ბრიტანეთს ქონდეს ეროვნული კანონმდებლობა ამ სფეროში შემოღებული.

რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, აღნიშნულ სექტორში მომუშავე ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნეს გამყიდველებზე, ბრიტანეთში, ისევე როგორც ყველა წევრ ქვეყანაში, საჭიროა დიპლომების ორმხრივი აღიარება ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის მასშტაბის კვალიფიკაციის აღიარების მიზნით, საჭიროა ორმხრივი აღიარების ხელშეკრულება, რომლის მოლაპარაკება ხდება ამ შეთანხმების 96-ე მუხლით განსაზღვრული პირობებით. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში რეგულირებადი პროფესიული მომსახურების განხორციელება არ ანიჭებს სხვა წევრ ქვეყანაში საქმიანობის უფლებას. აღნიშნულ სექტორში მომუშავე საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების შემთხვევაში ბრიტანეთმა შესაძლებელია მოითხოვს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმზე, დიდი ბრიტანეთი ვალდებულებას იღებს ყოველგვარი დათქმების გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრიტანული ბაზარი გახსნილია. თუმცა, ბრიტანეთს ბაზრის ლიბერალიზაციის ვალდებულება არ აქვს აღებული აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ბრიტანულ მხარეს აქვს უფლება შემოიღოს ახალი შეზღუდვები.

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჭარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც სათაო ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყნის მიერ ვალდებულება არ არის აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები ეროვნულ დონეზე.


მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურებასა და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. აღნიშნული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის მესამე რეჟიმში. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა ლუქსემბურგს არ აქვს.

პროექტების მართვის მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მსგავსად პროექტების მართვის მომსახურება ლუქსემბურგში პირველ რეჟიმში სრულადაა ლიბერალიზებული. აღნიშნული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის მესამე რეჟიმში. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა ლუქსემბურგს არ აქვს.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული მომსახურების, ურბანული დაგეგმვებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების შემთხვევაში, პირველ რეჟიმის ფარგლებში, მალტა ვალდებულებას იღებს ყოველგვარი დათქმების გარეშე. რაც ნიშნავს იმას, რომ მალტის ბაზარი სრულად გახსნილია. მესამე რეჟიმზე, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული. მალტას დაფუძნებასთან დაკავშირებით სხვა შეზღუდვა არ აქვს დაწესებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების შემთხვევაში, მალტაში არ არის სხვა არანაირი შეზღუდვა.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავტოს დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. აღნიშნული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ICT

კომპიუტერულ და მასთან დაკავშირებულ მომსახურების, პირველი რეჟიმის ფარგლებში, მალტას არ აქვს დაწესებული არანაირი შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის. მესამე რეჟიმზე ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების შემთხვევაში, მალტას შეზღუდვა არ აქვს.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმზე, მალტას ბაზრის ლიბერალიზაციის ვალდებულება აღებული არ აქვს. შესაბამისად, მალტურ მხარეს აქვს უფლება შემოიღოს ან შეინარჩუნოს შეზღუდვები. მესამე რეჟიმზე, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საბუღალტრო მომსახურების საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნა. ასევე, მალტა ითვებს უფლებას მოითხოვოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჭარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც სათაო ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყნის მიერ ვალდებულება არ არის აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები ეროვნულ დონეზე.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურებასა და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. აღნიშნული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის მესამე რეჟიმში. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა მალტას არ აქვს.

პროექტების მართვის მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მსგავსად პროექტების მართვის მომსახურება მალტაში პირველ რეჟიმში სრულადაა ლიბერალიზებული. აღნიშნული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის მესამე რეჟიმში. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა მალტას არ აქვს.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ნიდერლანდები

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

შეთანხმებით განსაზღვრული არქიტექტურული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით მიწოდების ფარგლებში ჰოლანდიაში საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდება.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეტის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში. გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები, სადაც ჰოლანდიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ნიდერლანდებს სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება ყველა რეჟიმის ფარგლებში.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში, ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება სრულად ლიბერალიზებული პირველი რეჟიმის ფარგლებში. ხოლო აუდიტის მომსახურებასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები, სადაც ნიდერლანდებს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები, სადაც ნიდერლანდებს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ნიდერლანდების მიერ სრულად ლიბერალიზებულია ოთხივე რეჟიმის ფარგლებში.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში – ლიბერალიზებულია ოთხივე რეჟიმის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაცია ჰოლანდიაში ბიზნესის დაწყების მსურველთათვის

როგორც უკვე აღინიშნა, ჰოლანდიას მესამე რეჟიმის ფარგლებში შეზღუდვები არ გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოლანდიაში ბიზნეს ორგანიზაციის დაფუძნების მსურველ ქართველებს დამატებითი შეზღუდვები არ შეხვდებათ. თუმცა, ჰოლანდიაში ბიზნესის დაწყების მსურველებზე ვრცელდება ზოგადი მოთხოვნები, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. ჰოლანდიის მენარმეობის სააგენტოს განსაზღვრული აქვს 18 ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას ჰოლანდიაში ბიზნესის დაწყების ყველა მსურველმა.

1. ცხოვრება ჰოლანდიაში

პირველ რიგში უნდა შემოწმდეს რამდენად აკმაყოფილებს მენარმე ჰოლანდიაში ცხოვრების მოთხოვნებს. არაევროკავშირის მოქალაქეს მოეთხოვება განაცხადის გაკეთება დროებით ან მუდმივ ბინადრობის ნებართვის დოკუმენტზე. დამატებითი ინფორმაცია ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე – <https://business.gov.nl/regulation/residence-permit/>

ასევე, ბიზნესის წამოწყების მსურველმა აუცილებლად უნდა დაარეგისტრიროს ბანკის ბიზნეს ანგარიში (IBAN). დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხზე ხელმისაწვდომია აღნიშნულ ვებ-გვერდზე – <https://business.gov.nl/coming-to-the-netherlands/living-in-the-netherlands/opening-a-dutch-business-bank-account/>

2. ბიზნეს გეგმა

ბიზნეს გეგმის შედგენა აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს, თუმცა, ის რეკომენდირებულია ჰოლანდიის სამენარმეო სააგენტოს მიერ. სააგენტო დაინტერესებულ პირებს ბიზნეს გეგმის შედგენაში ვებინარს სთავაზობს შემდეგ ვებ-გვერდზე – <https://business.gov.nl/webinar-on-demand-financing-your-business-in-the-netherlands/>

3. განსხვავებული საწყისი წერტილი

სხვადასხვა ბიზნესისთვის მოქმედებს სხვადასხვა მოთხოვნები. ის რაც მოეთხოვება სტუდენტურ სტატუსს განსხვავდება უცხოური კორპორაციისადმი წაყენებული მოთხოვნებისაგან. საქართველოს მოქალაქეებზეც ვრცელდება უცხოელ მენარმეებზე გავრცელებული მოთხოვნები.

3.1. ფილიალი – ყველაზე მარტივი პროცედურა ჰოლანდიაში ქართული ბიზნესის ფილიალის სახით დარეგისტრირების შემთხვევაშია. ფილიალი შეიძლება იყოს გაყიდვების ოფისი, საწარმო ან უბრალოდ წარმომადგენლობითი ოფისი. ჰოლანდიაში ქართული კომპანიის ფილიალის გახსნის შემთხვევაში, არ არის საჭირო კომპანიის ცალკე იურიდიულ ერთეულად დარეგისტრირება, მაგრამ ის აუცილებლად უნდა ჩაიწეროს **ჰოლანდიის კომერციულ რეესტრში (Handelsregister)**, რომელსაც ადგენს ჰოლანდიის სავაჭრო პალატა. ფილიალის დარეგისტრირებისთვის დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე – <https://www.kvk.nl/english/registration/foreign-company-registration/>

3.1.1. წარმომადგენლობითი ოფისი – ასევე მარტივადაა შესაძლებელი წარმომადგენლობითი ოფისის გახსნა. ჰოლანდიაში წარმომადგენლობითი ოფისი არ ითვლება იურიდიულად განსაზღვრულ ან რეგულირებულ ერთეულად. შესაბამისად, არ არის აუცილებელი მისი დარეგისტრირება კომერციულ რეესტრში. თუმცა, წარმომადგენლები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ რეზიდენტობის და/ან მუშაობის უფლების მოთხოვნებს.

3.2. უცხოური ბიზნესი – კომპანია აუცილებლად უნდა ჩაიწეროს **ჰოლანდიის კომერციულ რეესტრში (Handelsregister)**, რომელსაც ადგენს ჰოლანდიის სავაჭრო პალატა. მხოლოდ მას შემდეგ რაც მოხდება კომპანიის ჩაწერა აღნიშნულ რეესტრში, კომპანია იქნება განხილული როგორც ჰოლანდიური ბიზნესი. მფლობელი იქნება მიჩნეული უცხოური ბიზნესის მფლობელად იმ შემთხვევაში თუ ის არ არის ჰოლანდიის რეზიდენტი და კომპანიას არ გააჩნია “მუდმივი ადგილმდებარეობა” ჰოლანდიის ტერიტორიაზე. სათავსო საწყობები

და მსგავსი დაწესებულებები არ ითვლება “მუდმივი ადგილმდებარეობად”. ასევე, ადგილი სადაც ხდება კვლევების, რეკლამის და კომუნიკაციის ჩატარება არ მიიჩნება “მუდმივი ადგილმდებარეობად”. “მუდმივი ადგილმდებარეობა” წარმოადგენს უცხოური კომპანიის შენობა-ნაგებობას ჰოლანდიის ტერიტორიაზე, მაგ.: ქარხანა, საცალო მაღაზია, ა.შ

3.3. ბიზნესის ტრანსფერი – იმ შემთხვევაში თუ კომპანიის მფლობელი არის ბიზნესის ერთადერთი მესაკუთრე საკუთარ ქვეყანაში, მას შეუძლია მოახდინოს საკუთარი ბიზნესის ტრანსფერი ჰოლანდიაში და დაარეგისტრიროს ის საგაქრო პალატაში როგორც ჰოლანდიური კომპანია. ამ შემთხვევაში საგაქრო პალატა კომპანიის მფლობელს დაეხმარება საჭირო იურიდიული ფორმის მომზადებაში. სხვა შემთხვევაში, კომპანიის მესაკუთრემ ბიზნესი შეიძლება დაარეგისტრიროს, როგორც უცხოური იურიდიული ერთეული რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას ჰოლანდიაში. თუმცა, ამ შემთხვევაში, თუ კომპანიის მფლობელი აპირებს ჰოლანდიაში ცხოვრებას, მან აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სერვისის (*Immigratie- en Naturalisatiedienst, IND*) მოთხოვნები ჰოლანდიაში ცხოვრებასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაცია ამ კუთხით შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <https://ind.nl/en>

4. ბიზნესის სტრუქტურა

კომპანიის მფლობელმა უნდა აირჩიოს ბიზნესის იურიდიული სტრუქტურა (მაგ., ერთადერთი მესაკუთრე ან კერძო შეზღუდული კომპანია). კომპანიის იურიდიული სტრუქტურა განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საგადასახადო ვალდებულებები.

5. კომპანიის სახელი

აუცილებელია კომპანიის საგაქრო სახელის შერჩევა რათა მოხდეს მისი დარეგისტრირება კომერციულ რეესტრში.

6. რეგისტრაცია კომერციულ რეესტრში და საგადასახადო ადმინისტრაციაში

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ახალი კომპანია უნდა დარეგისტრირდეს ჰოლანდიის კომერციულ რეესტრში. თმცა, თუ ბიზნესის სტრუქტურა არის “ერთადერთი მესაკუთრე” ან “პარტნიორობა”, მესაკუთრეს ენიჭება VAT-ნომერი, შესაბამისად, აღარ იქნება საჭირო რეგისტრაცია ჰოლანდიის საგადასახადო ადმინისტრაციაში. დამატებით ინფორმაცია VAT-ნომერზე იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://business.gov.nl/regulation/using-checking-vat-numbers/>

სხვა სტრუქტურის მქონე კომპანიებს (მაგ.: კერძო შეზღუდული კომპანია) მოეთხოვებათ რეგისტრაცია სამოქალაქო სამართლის ნოტარიუსთან, რომელიც თავად დაარეგისტრირებს კომპანიას ჰოლანდიის საგადასახადო ადმინისტრაციაში. იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრე ეწევა ბიზნეს საქმიანობას ჰოლანდიაში, მაგრამ კომპანიას არ აქვს მუდმივი ადგილმდებარეობა ჰოლანდიაში, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია ჰოლანდიის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციაში. დამატებით ინფორმაცია – <https://business.gov.nl/starting-your-business/registering-your-business/registering-with-the-dutch-tax-and-customs-administration/>

7. რეგისტრაცია როგორც დამსაქმებელი

იმ შემთხვევაში თუ კომპანიის მესაკუთრე აპირებს თანამშრომლების აყვანას, ის აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს როგორც დამსაქმებელი ჰოლანდიის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციაში. დამატებით ინფორმაცია – <https://business.gov.nl/regulation/payroll-tax/>

8. პროფესიონალური კვალიფიკაცია

როგორც წესი მეწარმეს არ სჭირდება სპეციალური კვალიფიკაცია ჰოლანდიაში ბიზნესის დასაწყებად, თუმცა არის გამონაკლისებიც. არქიტექტურული საქმიანობა ამ შემთხვევაში წარმოადგენს გამონაკლისს და მასზე ვრცელდება გარკვეული ტიპის პროფესიონალური მოთხოვნები.

8.1.1. არქიტექტორის პროფესიონალური კვალიფიკაცია – ჰოლანდიაში არქიტექტორების, ურბანული დიზაინერების, ლანდშაფტის არქიტექტორების და ინტერიერის არქიტექტორების პროფესიონალური ტიტული დაცულია **1987 წლის არქიტექტორის ტიტულის აქტით**. მხოლოდ არქიტექტის რეესტრში დარეგისტრირებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ არწინშნული პროფესიული ტიტულები.

არქიტექტორების სარეგისტრაციო ოფისი (*Stichting Bureau Architectenregister, SBA*) მდებარეობს ჰააგაში და წარმოადგენს მთავარ ორგანოს რომელიც ახდენს არქიტექტორთა რეგისტრაციას. არქიტექტორად დარეგისტრირება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრატურის დასრულებისა და არქიტექტურის დარგში ორწლიანი გამოცდილების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ საჭიროა მიღებული კვალიფიკაციის აღიარება ჰოლანდიური ოფიციალური ორგანოების მხრიდან. ჰოლანდიის გარდა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაციის აღიარებისათვის საჭიროა აღიარების საფასურის გადახდა, რომელიც შეადგენს 1500 ევროს. არაევროკავშირის წევრ ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაციის აღიარებისათვის კი საჭიროა 2000 ევროს გადახდა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დამატებითი კონსულტაცია მიიღონ არქიტექტორთა სარეგისტრაციო ოფისიდან აღნიშნულ ვებ-გვერდზე – <https://www.architectenregister.nl/en/>

1987 წლის არქიტექტორის ტიტულის აქტი ასევე ადგენს მოთხოვნას რომლის მიხედვითაც არქიტექტორებმა ყოველწლიურად მინიმუმ 16 საათი უნდა დაუთმონ დამატებითი ტრენინგებს. რეგისტრაცია ხდება შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.architectenregister.nl/en/i-would-like-to-register/how-does-registration-work/> რეგისტრაციის საფასური და წლიური გადასახადი შეადგენს 60 ევროს.

9. ზონალური დაგეგმარების გათვალისწინება

თუ მესაკუთრეს სურს ბიზნესის განთავსება კონკრეტულ ლოკაციაზე, ეს უნდა იყოს შესაბამისობაში მუნიციპალიტეტის ზონალურ დაგეგმარებასთან. ზონალურ დაგეგმარებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე – <https://business.gov.nl/regulation/zoning-plan/>

კონკრეტული ლოკაციის შერჩევის შემდგომ ეტაპზე, მეწარმემ უნდა აიღოს ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვა (*Omgevingsvergunning*). ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე <https://business.gov.nl/regulation/applying-for-all-in-one-permit-physical-aspects/>

10. გარემოს დაცვითი რეგულაციები

იმ შემთხვევაში თუ მეწარმის ბიზნესს აქვს გავლენა გარემოზე, მეწარმემ უნდა წარადგინოს გარემოს დაცვითი მენეჯმენტის ცნობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში.

11. უსაფრთხოების ნორმები

თუ ბიზნესი განთავსებულია კონკრეტულ შენობაში, მესაკუთრემ უნდა მიიღოს ზომები ხანძრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუ ბიზნესი შეიცვას ხანძრის მაღალ საშიშროებას, მეწარმემ უნდა აიღოს ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვა (*Omgevingsvergunning*). ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე <https://business.gov.nl/regulation/applying-for-all-in-one-permit-physical-aspects/>

12. საშინაო ბიზნესი

თუ მეწარმე აპირებს ბიზნესის წარმოებას საკუთარი სახლიდან, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

13. ფიზიკური ასპექტების ნებართვა შენობის მოდიფიკაციისათვის

თუ მეწარმე აპირებს ბიზნესის შენობის გარემონტებას, აშენებას ან შეცვლას, მან უნდა აიღოს ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვა (Omgevingsvergunning). ფიზიკური ასპექტების საყოველთაო ნებართვასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე <https://business.gov.nl/regulation/applying-for-all-in-one-permit-physical-aspects/>

14. ბიზნესის ზოგადი პირობები

ჰოლანდიის მეწარმეობის სააგენტო მეწარმეებს ურჩევს შეადგინონ ბიზნესის ზოგადი პირობები. ეს აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს, თუმცა, ზოგადი პირობები განმარტავს მეწარმის და მისი მომხმარებლების უფლებებსა და მოვალეობებს.

15. ბიზნეს ანგარიში

აუცილებელია მეწარმემ დროულად გახსნას ბიზნეს ანგარიში. ჰოლანდიაში ყველა მეწარმე იურიდიულადაა ვალდებული იქონიოს ბიზნეს ანგარიში და შეინახოს ის შვიდი წლის განმავლობაში.

16. დაზღვევა

ყველა მეწარმე ვინც ეწევა ბიზნეს საქმიანობას ჰოლანდიაში, ვალდებულია იქონიოს ჯანმრთელობის დაზღვევა. მეწარმე ვალდებულია გადაიხადოს ჰოლანდიის ეროვნული დაზღვევის შესაბამისი საფასური. ასევე, ჰოლანდიის მეწარმეობის სააგენტო მეწარმეებს ურჩევს მოახდინონ საკუთარი ბიზნესის დაზღვევაც.

17. პერსონალური მონაცემების დაცვა

პერსონალური მონაცემების შენახვა და გამოყენება დარეგულირებულია **ზოგადი მონაცემების დაცვის რეგულაციით** (*Algemene Verordening Gegevensbescherming, AVG*). დამატებითი ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე – <https://business.gov.nl/regulation/protection-personal-data/>

18. დახმარება

რამდენიმე სამთავრობო უწყება მეწარმეებს უწევს დახმარებას ბიზნესის დაწყების დროს.

- **ჰოლანდიის სავაჭრო პალატა** – წარმოადგენს მთავარ სავაჭრო ერთეულს ჰოლანდიაში და მასთან თანამშრომლობა საჭირო და აუცილებელია ჰოლანდიაში ბიზნესის დაწყების მსურველი ნებისმიერი პირისთვის. პალატა აკავშირებს ბიზნესმენებს ნედერლანდებში 19 რეგიონული ოფისით. სავაჭრო პალატა ოფიციალურად არეგისტრირებს კომპანიებს, უწევს მათ დახმარებას და აძლევს რჩევებს. პალატის მთავარი მისია კომერციული რეესტრის შედგენაა. ჰოლანდიაში კომერციულ რეესტრში დარეგისტრირება სავალდებულოა ყველა კომპანიისა და თითქმის ყველა იურიდიული ერთეულისთვის. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – www.kvk.nl/english
- **ჰოლანდიის ვაჭრობისა და ინვესტიციის** ვებ გვერდი მეწარმეებს აწვდის ინფორმაციას ჰოლანდიის საინვესტიციო კლიმატის შესახებ. ასევე ეხმარება მეწარმეებს ადგილობრივი პარტნიორების მოძებნაში. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – www.hollandtradeandinvest.com
- **ჰოლანდიის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაცია** მეწარმეებს აწვდის ინფორმაციას საჭირო გადასახადებისა და ანგარიშების შესახებ. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – <https://www.belastingdienst.nl/wps/wcm/connect/bldcontenten/belastingdienst/business/>
- **Qredits Microfinanciering Nederland** ეხმარება მეწარმეებს ბიზნეს გეგმების შედგენაში.

დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – <https://qredits.nl/contact/>

- **ჰოლანდიის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო** მეწარმეებს აწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას ლოკაციების შესახებ ბიზნესის დასაწყებად. ასევე ბიუროს გააჩნია სექტორების მხრივ სპეციფიკურად დაყოფილი სტატისტიკა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კონკრეტული სფეროთი დაინტერესებული მეწარმისათვის. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – <https://www.cbs.nl/en-gb>

გარდა აღნიშნული სამთავრობო ორგანოებისა, 2019 წლის მონაცემებით ჰოლანდიაში 40 000-მდე სხვადასხვა ტიპის ასოციაციაა რეგისტრირებული, თუმცა, რაც შეეხება სავაჭრო ასოციაციებსა მათგან გამოსარჩევია ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები.

- **ამერიკის სავაჭრო პალატა ჰოლანდიაში (AmCham)** არის არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია რომელიც აერთიანებს ორგანიზაციებსა და ინდივიდებს ვინც ჩართული არიან ბიზნეს საქმიანობაში ჰოლანდიის ტერიტორიაზე. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.amcham.nl
- **ნიდერლანდების ინდუსტრიისა და დასაქმებულთა კონფედერაცია (VNO-NCW)** წარმოადგენს ჰოლანდიის ყველაზე დიდ დასაქმებულთა ორგანიზაციას. VNO-NCW აერთიანებს 185 000-ზე მეტ საწარმოს და 160-მდე ასოციაციას. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <https://www.vno-ncw.nl/over-vno-ncw/english>

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბუღალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეგიონის ნომერს

პორტუგალია

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

შეთანხმების ვალდებულების დანართის მიხედვით პორტუგალიას არ აქვს ვალდებულება აღებული პირველი რეჟიმით არქიტექტურული მომსახურებისა და ლანდშაფტის დიზაინის სერვისის მიწოდების ნაწილში, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობის დონეზე არსებობდეს გარკვეული შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის ან ასეთი შეზღუდვების შემოღება შესაძლებელია მოხდეს მომავალში. უნდა აღნიშნოს, რომ არქიტექტურული მომსახურების მიწოდება მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ლაბორალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის პორტუგალიის ტერიტორიაზე. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ ფიზიკური პირების მიერ არქიტექტურული მომსახურების მიწოდება მოითხოვს ასეთი პირების ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების წინაპირობას პორტუგალიის მიერ.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. აღნიშნული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ICT

კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტისათვის მოიცავს საკონსულტაციო მომსახურება კომპიუტერული მოწყობილობების ინსტალაციისათვის, კომპიუტერული პროგრამის ინსტალაციას, მათ შორის დიზაინს, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სისტემური ანალიზს, მონაცემთა პროცესინგის მომსახურებას, მონაცემთა ბაზების მომსახურებას, საოფისე კომპიუტერული აღჭურვილობის შეკეთებასა და მოვლას ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის პირველი რეჟიმის ფარგლებში. აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე პორტუგალიას არ გააჩნია შეზღუდვები საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებშიც პროფესიული კვალიფიკაციის დოკუმენტის აღიარების გარდა.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში ქართული კომპანიებისათვის პორტუგალიას არ გააჩნია შეზღუდვები, რაც გულისხმობს იმას, რომ სფერო მთლიანად ლიბერალიზებულია. აუდიტორული მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში პორტუგალიას ვალდებულება არ აქვს აღებული, შესაბამისად ამ ნაწილში შესაძლებელია უკვე არსებობს ან მომავალში შესაძლებელია შემორჩეულ იქნას გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის. მითითებული მომსახურების მიწოდება მესამე რეჟიმის ფარგლებში მოითხოვს შესაბამის პროფესიული ასოციაციის წევრობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს მოქალაქეობას ან რეზიდენტად რეგისტრაციას. აღნიშნული სერვისის მიწოდება მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია პორტუგალიის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის, იმ დათქმით რომ პროფესიული კვალიფიკაციის დოკუმენტის აღიარება საჭიროა.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სერვისის მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია პორტუგალიის მიერ. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდება მესამე

რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჯარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქელაქეს, რომელსაც ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყნის მიერ ვალდებულება არ არის აღებული, რაც იმას ნიშანსვ, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები ეროვნულ დონეზე.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მოიცავს კონსულტაციას ზოგად მენეჯმენტში, ფინანსური მენეჯმენტის კონსულტირებას, მარკეტინგის მენეჯმენტის კონსულტირებას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, წარმოების მენეჯმენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სხვა პირველი რეჟიმის ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის პორტუგალიაში. აღნიშნული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში პორტუგალიის ტერიტორიაზე.

პროექტების მართვის მომსახურება

აღნიშნული მომსახურება საქართველოს მოქალაქეებისათვის სრულად ლიბერალიზებულია პორტუგალიაში პირველი რეჟიმის ფარგლებში. პორტუგალიაში ამ მომსახურების მიწოდება ასევე, ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის და ფიზიკური პირებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული მომსახურების, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების, პირველი რეჟიმით მიწოდების შემთხვევაში, პოლონეთს ვალდებულება არ აქვს აღებული. შესაბამისად, პოლონურ მხარეს აქვს უფლება შემოიღოს ახალი შეზღუდვები. თუმცა, მესამე რეჟიმის ფარგლებში ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის კუთხით ვალდებულებები არ არის აღებული. პოლონეთს ასევე აქვს შეზღუდვა მესამე რეჟიმში, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების შემთხვევაში, პოლონეთში არ არის სხვა არანაირი შეზღუდვა.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავტოს დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კოპანიებისათვის. აღნიშნული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ICT

კომპიუტერულ და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, პირველი რეჟიმის ფარგლებში, პოლონეთს არ აქვს დაწესებული არანაირი შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის. მესამე რეჟიმის ქვეშ, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობისათვის ვალდებულებები არ არის აღებული. პოლონეთს ასევე, აქვს კიდევ ერთი შეზღუდვა მესამე რეჟიმში, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალების შემთხვევაში, პოლონეთს შეზღუდვა არ აქვს.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტორული მომსახურებასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმზე პოლონეთი ვალდებულებას იღებს ყოველგვარი დათქმების გარეშე, შესაბამისად პოლონური ბაზარი გახსნილია. მესამე რეჟიმზე, ეროვნული რეჟიმისა და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ვალდებულებები არ არის აღებული. პოლონეთს აქვს შეზღუდვა მესამე რეჟიმის ქვეშ, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, აღნიშნულ სექტორში მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნა.

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასთან დაკავშირებით, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჯარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს და ევროკავშირის იურიდიულ პირს, რომელსაც სა-

თაო ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე. პოლონეთს აქვს კიდევ ერთი შეზღუდვა მესამე რეჟიმში, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყნის მიერ ვალდებულება არ არის აღებული, რაც იმას ნიშანსვ, რომ თითოეული ქვეყნის შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს შეზღუდვები ეროვნულ დონეზე.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურებასა და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, პირველ რეჟიმში არანაირი შეზღუდვა არ არის. პოლონეთს გააჩნია ჰორიზონტალური შეზღუდვა მესამე რეჟიმში, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა პოლონეთს არ აქვს.

პროექტების მართვის მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მსგავსად პროექტების მართვის მომსახურება პოლონეთში პირველ რეჟიმში სრულადაა ლიბერალიზებული. პოლონეთს გააჩნია ჰორიზონტალური შეზღუდვა მესამე რეჟიმში, რომლის მიხედვითაც, ქართველ მენარმეებს შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული პარტნიორობის, შეზღუდული სააქციო პარტნიორობის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სააქციო საზოგადოების ფორმით. რაც შეეხება ამ სფეროში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებსა და დამოუკიდებელ პროფესიონალებს, მათზე ვრცელდება დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა. სხვა შეზღუდვა პოლონეთს არ აქვს.

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბუღალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული არქიტექტურული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით მიწოდების ფარგლებში რუმინეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის. ხოლო ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების სფეროში, რუმინეთს ვალდებულება არ აქვს აღებული, რაც მას უფლებას აძლევს შემოიღოს გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის. არქიტექტურული მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში, გარდა ერთისა – კომერციული კომპანიების მმართველი ან მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელი, ასევე მმართველების ნახევარი უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული კომპანიის კონტრაქტით ან დებულებით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. არქიტექტურული მომსახურების მეოთხე რეჟიმის ფარგლებში მიწოდებისათვის რუმინეთს განსაზღვრული აქვს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია საქართველოს მოქალაქეებისათვის მესამე და მეოთხე რეჟიმების ფარგლებში, გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა მესამე რეჟიმის შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება კომერციული ორგანიზაციის მმართველობით ორგანოებში რუმინეთის მოქალაქეების სავალდებულო შეყვანა.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ისევე როგორც ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას, რუმინეთსაც სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ. მესამე რეჟიმით მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს იმ პირობის დაცვით, რომ რუმინეთში დაფუძნებული კომპანიის მმართველობით ნაწილში ჩართული იქნებიან რუმინეთის მოქალაქეები, როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმებაში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმის, ამ შემთხვევაში რუმინეთი ითხოვს ეკონომიკური საჭიროების ტესტს.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში რუმინეთს არ აქვს აღებული ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია გააჩნდეს ან მომავალში შემოიღოს გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, ამ შემთხვევაში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც გულისხმობს – კომერციული კომპანიების მმართველი ან მმართველთა საბჭოს ხელმძღვანელი, ასევე მმართველების ნახევარი უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული კომპანიის კონტრაქტით ან დებულებით. მომსახურების მეოთხე რეჟიმში მიწოდებისათვის რუმინეთს მოთხოვნილი აქვს ეკონომიკური საჭიროების ტესტი ფინანსური ანგარიშის მომზადების მიმწოდებელი პირებისათვის.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია რუმინეთის მიერ. აღნიშნულ სფეროში

მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჯარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს, რომელსაც ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე, ასევე რუმინეთის მიერ მესამე რეჟიმის ფარგლებში გამოყენებულია შეზღუდვა, რაც გულისხმობს დაფუძნების შემთხვევაში კომერციული ორგანიზაციის მმართველობით სტრუქტურებში რუმინეთის მოქალაქეების მონაწილეობის ვალდებულებას. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში რუმინეთის მიერ აღნიშნული სფერო ლიბერალიზებულია.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია რუმინეთის მიერ. მესამე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რომლის თანახმად დაფუძნების შემთხვევაში კომერციული ორგანიზაციის მმართველობით სტრუქტურებში რუმინეთის მოქალაქეების მონაწილეობის ვალდებულებას. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში რუმინეთის მიერ გამოყენებულია შეზღუდვა, ეკონომიკური საჭიროების ტესტის გამოყენებას.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია რუმინეთის მიერ. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა მესამე რეჟიმის ფარგლებში, რომლის თანახმად დაფუძნების შემთხვევაში კომერციული ორგანიზაციის მმართველობით სტრუქტურებში რუმინეთის მოქალაქეების მონაწილეობის ვალდებულებას. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში რუმინეთის მიერ გამოყენებულია შეზღუდვა, ეკონომიკური საჭიროების ტესტის გამოყენებას.

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბუღალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

საბერძნეთი

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული მომსახურების, ურბანული დაგეგმვისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდების ნაწილში საბერძნეთს არ აქვს აღებული ვალდებულება ბაზრის ლიბერალიზაციაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს ქონდეს ან მომავალში შემოიღოს გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც განახორციელებენ აღნიშნული მომსახურების მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიწოდება სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

დიზაინის მომსახურების მიწოდების სფერო საბერძნეთს სრულად ლიბერალიზებული აქვს ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის. მომსახურება ლიბერალიზებულია როგორც პირველ, ისე მესამე რეჟიმის ფარგლებში მიწოდების შემთხვევაში. მეოთხე რეჟიმისთვის ძირითად პერსონალზე, სტაჟიორებზე და ბიზნესის გამყიდველებზე ვრცელდება რეზიდენტობის მოთხოვნა.

ICT

კომპიუტერული მომსახურების მიწოდება საბერძნეთის მიერ ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის და ფიზიკური პირებისათვის ყველა რეჟიმის ფარგლებში.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტორული მომსახურების მიწოდების სფეროში, საბერძნეთს სრულად ლიბერალიზებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება ნაწილი პირველი რეჟიმის ფარგლებში. ხოლო აუდიტორულ მომსახურებებზე ვალდებულება არ აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთს შეუძლია მომავალში შემოიღოს გარკვეული შეზღუდვა. მესამე რეჟიმის ნაწილში საბერძნეთს შეზღუდული აქვს სავალდებულო აუდიტის მომსახურების განხორციელება. შეზღუდვის თანახმად ასეთი სახის აუდიტორული მომსახურების მიწოდება შეუძლიათ მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. რაც შეეხება აღნიშნული მომსახურების მიწოდებას მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, ამ შემთხვევაში საბერძნეთი ითხოვს ეკონომიკური საჭიროების ტესტს.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევის ნაწილში საბერძნეთს ლიბერალიზებული აქვს ბაზარი ქართული კომპანიებისათვის, როგორც პირველ, ისე მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჯარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს, რომელსაც ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე.


მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება საბერძნეთის მიერ სრულად ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის და ფიზიკური პირებისათვის, როგორც პირველ, ისე მესამე და მეოთხე რეჟიმების ფარგლებში.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების სფეროც, ისევე როგორც, მენეჯმენტის საკონსულტაციო სფერო სრულად ლიბერალიზებულია საბერძნეთის მიერ ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის პირველ, მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

საფრანგეთი

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული, ურბანული დაგეგმვისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში სრულად ლიბერალიზებულია, რაც გულისხმობს იმას, რომ საფრანგეთს არ შეუძლია შემოიღოს პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდების შეზღუდვა საქართველოს მოქალაქეებისათვის. მესამე რეჟიმი აღნიშნული მომსახურების მიწოდების ნაწილში საფრანგეთს გააჩნია შეზღუდვა, რაც გულისხმობს შემდეგს, საფრანგეთში ქართველი მეწარმეების დაფუძნებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შემდეგი სამართლებრივი ფორმა – "société d'exercice liberal" (sociétés anonymes, sociétés à responsabilité limitée ou sociétés en commandite par actions) რაც ნიშნავს თავისუფალ კომპანიას (ანონიმური კომპანიის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნას) და "société civile professionnelle" ანუ პროფესიულ გაერთიანებას. აღნიშნული მომსახურების მეოთხე რეჟიმის ფარგლებში მიწოდების შემთხვევაში საფრანგეთს სრულად ლიბერალიზებული აქვს ბაზარი საქართველოსათვის.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

სპეციალური დიზაინის მომსახურების მიწოდება ყველა რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში საფრანგეთს სრულად ლიბერალიზებული აქვს ბაზარი ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის. მომსახურება ლიბერალიზებულია როგორც პირველ, ისე მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული მომსახურების სფეროში პირველი რეჟიმის ფარგლებში საფრანგეთს არ აქვს აღებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული მომსახურებების გაწევისათვის ქართული კომპანიებისთვის შესაძლებელია არსებობდეს ან დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები. მომსახურების მიწოდება ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. საბუღალტრო მომსახურების მიწოდება შეზღუდულია მეოთხე რეჟიმის ფარგლებში და საჭიროებს ავტორიზაციას. საბუღალტრო მომსახურების გაწევა დამოკიდებულია ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის მინისტრის გადაწყვეტილებაზე, საგარეო საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით. რაც შეეხება აუდიტორულ მომსახურებას, აღნიშნული ლიბერალიზებულია მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

აღნიშნული მომსახურება ლიბერალიზებულია საფრანგეთში ქართული კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა რეჟიმის ფარგლებში. ამ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც აღნიშნულია ამ თავის ზოგად ნაწილში.


მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

აღნიშნული მომსახურება ლიბერალიზებულია საფრანგეთში ქართული კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა რეჟიმის ფარგლებში.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურებაც ლიბერალიზებულია ყველა რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

სლოვაკეთი

ვიდრე უშუალოდ სექტორების ანალიზს დავიწყებდეთ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკეთს შეთანხმებაში აქვს წარმოდგენილი ჰორიზონტალური შეზღუდვა ქართველი ფიზიკური პირებისათვის, რომლის თანახმადაც, თუ პირს უნდა რომ სლოვაკეთში დააფუძნოს კომერციული ორგანიზაცია, მას უნდა გააჩნდეს რეზიდენტის მოწმობა.

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

შეთანხმების შესაბამისად არქიტექტურული მომსახურების მიწოდებისათვის ნებისმიერი რეჟიმის ფარგლებში საჭიროა რეზიდენტის სტატუსის ქონა. მომსახურების პირველი რეჟიმის ფარგლებში მიწოდებისათვის სხვა შეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდებას, როგორც უკვე აღინიშნა იგი მოითხოვს რეზიდენტის სტატუსს და შესაბამის პალატაში წევრობას ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანიზაციის წევრობის აღიარებას. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთი ითხოვს ეკონომიკური საჭიროების ტესტს.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

სპეციალური დიზაინის მომსახურების მიწოდება ლიბერალიზებულია პირველი და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთის ტერიტორიაზე ქართული კომპანიებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმის ფარგლებში, როგორც უკვე აღინიშნა, წარმომადგენლობის დაფუძნების შემთხვევაში საჭიროა რეზიდენტის სტატუსის ქონა ქართველი პირებისათვის.

ICT

აღნიშნული მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის, მესამე რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდვა რაც გულისხმობს რეზიდენტობის სტატუსის მოთხოვნას, ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთის მიერ მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროების ტესტის ჩატარება.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

აღნიშნული მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის, მესამე რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდვა რაც გულისხმობს რეზიდენტობის სტატუსის მოთხოვნას, ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთის მიერ მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

აღნიშნული მომსახურების მიწოდება პირველი და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის, მესამე რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდვა რაც გულისხმობს რეზიდენტობის სტატუსის მოთხოვნას. ასევე გასათვალისწინებელია ამ სფეროში არსებული ჰორიზონტალური შეზღუდვები, რომელიც დადგენილი აქვს ევროკავშირს და რომელიც ვრცელდება მეოთხე რეჟიმის შემთხვევაზე.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის, მესამე რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდვა რაც გულისხმობს რეზიდენტობის სტატუსის მოთხოვნას, ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთის მიერ მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

მსგავსად მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურებისა, პროექტის მართვის სფეროშიც მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის, მესამე რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდვა რაც გულისხმობს რეზიდენტობის სტატუსის მოთხოვნას, ხოლო მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვაკეთის მიერ მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა არქიტექტურული მომსახურება	1	2	3	4
დიზაინი	1	2	3	4
კომპიუტერული მომსახურება	1	2	3	4
ბუღალტრული აღრიცხვა	1	2	3	4
აუდიტი	1	2	3	4
ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა	1	2	3	4
მენეჯმენტის კონსულტაცია	1	2	3	4
პროექტების მართვა	1	2	3	4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

აღნიშნული მომსახურების სფეროში სლოვენიაში პირველი რეჟიმით მომსახურების მიწოდებაზე ქვეყანას არ აქვს აღებული ვალდებულება, რაც საშუალებას აძლევს სლოვენიას, რომ ქონდეს ან მომავალში შემოიღოს რაიმე სახის შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის. აღნიშნული მომსახურების მიწოდებაზე მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში სლოვენიას შეზღუდვა არ გააჩნია.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

აღნიშნული მომსახურების მიწოდება სლოვენიაში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია ყველა რეჟიმის ფარგლებში.

ICT

ასევე, სლოვენიას სრულად აქვს ლიბერალიზებული ICT-ის მომსახურების მიწოდება ყველა რეჟიმის ფარგლებში.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში წარმოდგენილია, შეზღუდვით – ვალდებულება არ აქვს აღებული, რაც ნიშნავს იმას, რომ სლოვენიას ან უკვე გააჩნია რაიმე სახის შეზღუდვა ქართული კომპანიებისათვის ან შემორებს მომავალში. თუმცა იგივე მომსახურება, ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

აღნიშნული მომსახურება ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის სრულად ლიბერალიზებულია სლოვენიაში, ყველა რეჟიმის ფარგლებში მიწოდების შემთხვევაში.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

ასევე ქართული კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის სრულად არის ლიბერალიზებული მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ყველა რეჟიმის ფარგლებში.

პროექტების მართვის მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მსგავსად არის სრულად ლიბერალიზებული, ყველა რეჟიმის ფარგლებში პროექტების მართვის მომსახურების მიწოდება ლუბლიანაში ქართული კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების მიერ.

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბუღალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო



შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების შემთხვევაში, პირველ რეჟიმით მომსახურების მიწოდება ლიბერალიზებულია, შესაბამისად უნგრეთს არ აქვს უფლება შემოიღოს ახალი შეზღუდვები. ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურების პირველი რეჟიმით მიწოდებისთვის ვალდებულება არ არის აღებული. მესამე რეჟიმზე, აღსანიშნავია, რომ უნგრეთს დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს დაწესებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, არქიტექტურულ ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურულ მომსახურებაში, უნგრეთს აქვს შემდეგი შეზღუდვები:

- კორპორაციის შიგნით გადაადგილებული პირები – უნგრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული საქართველოს იურიდიულ პირში პარტნიორად მყოფ ფიზიკურ პირებზე;
- სტაჟიორები – ტრენინგი უნდა იყოს დაკავშირებული უნივერსიტეტში მიღებულ დიპლომთან. ასევე, მოთხოვნილია ეკონომიკური საჭიროების ტესტი;
- რეზიდენტობის მოთხოვნა.

საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები უნგრეთს აქვს შემდეგი შეზღუდვა:

- რეზიდენტობის მოთხოვნა;
- ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

აღნიშნულ სექტორში, კერძოდ ინტერიერის დიზაინის და სხვა სპეციალიზებულ დიზაინერულ მომსახურებას, პირველი რეჟიმზე, უნგრეთს არ აქვს დაწესებული არანაირი შეზღუდვა. შესაბამისად საქართველოს ტერიტორიიდან მომსახურების მიწოდება შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე. მესამე რეჟიმზე, რომელიც გულისხმობს მომსახურების მიწოდებას ერთი ქვეყნის მიმწოდებლის მიერ მეორე ქვეყანაში ინდ. მეწარმის ან იურიდიული პირის დაფუძნების გზით, აღსანიშნავია, რომ უნგრეთს დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები უნგრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

აღნიშნულ მომსახურებაზე არანაირი შეზღუდვა არ არის პირველ რეჟიმზე, რაც გულისხმობს იმას რომ, მომსახურების ამ კონკრეტულ სექტორში ბაზარი სრულიად ლიბერალიზებულია და უნგრეთს არ აქვს უფლება, მომავალში შემოიღოს ახალი შეზღუდვა. მესამე რეჟიმზე აღსანიშნავია, რომ უნგრეთს დაფუძნებასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ აქვს დაწესებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – უნგრეთი ითვებს უფლებას ეკონომიკური საჭიროების ტესტის გამოყენებაზე.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში, პირველი რეჟიმის ფარგლებში, უნგრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია გააჩნდეს ან მომავალში შემოიღოს გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, დაფუძნებასთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვა არ აქვს დასწესებული. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, აღნიშნულ სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – უნგრეთი ითვებს უფლებას ეკონომიკური საჭიროების ტესტის გამოყენებაზე.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება


ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია უნგრეთის მიერ. აღნიშნულ სფეროში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. შეზღუდვის თანახმად საჭარო დაფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი კვლევის უფლება აქვს მხოლოდ ევროკავშირის მოქალაქეს, რომელსაც ოფისი გააჩნია ევროკავშირის ტერიტორიაზე. მესამე რეჟიმის ფარგლებში უნგრეთს შეზღუდვები არ აქვს დაწესებული. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – უნგრეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდება. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – უნგრეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტის.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია უნგრეთის მიერ. ასევე, ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდება. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – უნგრეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტის.



არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული არქიტექტურული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით მიწოდების ფარგლებში ფინეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში, გარდა შემდეგისა – ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)-ის (EEA) რეზიდენტობა სავალდებულოა მმართველი დირექტორისთვის, დირექტორთა საბჭოს წევრისა და მოადგილე წევრისთვის, თუმცა, ცალკეულ კომპანიას შეიძლება მიენიჭოს გამონაკლისი. ასევე, ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – ფინეთს აქვს მოთხოვნა, რომ ფიზიკურმა პირმა უნდა მოახდინოს მისაწოდებელი მომსახურების შესაბამისი პეციალური ცოდნის დემონსტრირება (დასაბუთება).

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავტოს დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინის და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში, გარდა შემდეგისა – ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)-ის (EEA) რეზიდენტობა სავალდებულოა მმართველი დირექტორისთვის, დირექტორთა საბჭოს წევრისა და მოადგილე წევრისთვის, თუმცა, ცალკეულ კომპანიას შეიძლება მიენიჭოს გამონაკლისი. ასევე, ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – ფინეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ისევე როგორც ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას ფინეთსაც სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში. მესამე რეჟიმით მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს იმ პირობის დაცვით, რომ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, იქნებიან ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტი. ასევე, ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – ფინეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილია ლიბერალიზებული პირველი რეჟიმის ფარგლებში. ფინანსური აუდიტის და ფინანსური ანგარიშის მომზადების ნაწილში შეთანხმების თანახმად ფინეთს არ აქვს აღებული ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია გააჩნდეს ან მომავალში შემოიღოს გარკვეული შეზღუდვები ქართული კომპანიებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, ამ შემთხვევაში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მმართველი

დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. ასევე, ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები – ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით ფინეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი. ხოლო, აუდიტორულ აღრიცხვას ფინეთს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, ამ შემთხვევაში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. ასევე ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, ჰორიზონტალური შეზღუდვის გარდა ფინეთს სხვა დამატებითი შეზღუდვა არ აქვს. კერძოდ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. ფინეთს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.


მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, ამ შემთხვევაში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. ასევე, ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, ჰორიზონტალური შეზღუდვის გარდა ფინეთს სხვა დამატებითი შეზღუდვა არ აქვს. კერძოდ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ფინეთი ითვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტის.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია რაც შეეხება მესამე რეჟიმს, ამ შემთხვევაში მოქმედებს ჰორიზონტალური შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. ასევე ვაჭრობის ნებართვის მიღება სავალდებულოა, თუ ქართული კომპანია აპირებს საქმიანობის ან ვაჭრობის განხორ-

ციელებას ფინეთში ფილიალის დაფუძნების გზით. მსგავსი შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის სერვისის მიწოდებაზე მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, ჰორიზონტალური შეზღუდვის გარდა ფინეთს სხვა დამატებითი შეზღუდვა არ აქვს. კერძოდ მმართველი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი და მოადგილე წევრი, უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნ(ებ)ის (EEA) რეზიდენტები. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ფინეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტის.



შენიშვნა: წრეში მითითებული ციფრი ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება



დიზაინი



კომპიუტერული მომსახურება



ბულალტრული აღრიცხვა



აუდიტი



ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა



მენეჯმენტის კონსულტაცია



პროექტების მართვა



შპდათი

ყველას სექტორში დაფუძნებასთან დაკავშირებით შვედეთს აქვს შემდეგი ჰორიზონტალური შეზღუდვები:

- ფილიალის მეშვეობით კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად, კომპანია უნდა დარეგისტრირდეს შვედეთში, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი მმართველობა და ანრგარიშები. ასევე, ფილიალის მმართველი დირექტორი და მისი მოადგილე უნდა იყვნენ ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი ქვეყნის რეზიდენტები. (EEA). ინდივიდუალურ შემთხვევებში, შეიძლება გამონაკლისი იქნას დაშვებული ფილიალის დაფუძნებასა და რეზიდენტობის მოთხოვნებიდან.
- ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი ქვეყნის რეზიდენტი (EEA) და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელსაც შვედეთში სურს კომერციული საქმიანობის განხორციელება უნდა დანიშნოს და დაარეგისტრირდეს რეზიდენტი წარმომადგენელი, რომელიც იქნება საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, სავალდებულოა დამოუკიდებელი ანგარიშების გამოყენება. კომპეტენტურმა ორგანომ, ინდივიდუალურ შემთხვევებში, შეიძლება დაუშვას ფილიალის დაფუძნებისა და რეზიდენტობის მოთხოვნებიდან გამონაკლისი. (შეზღუდვა არ ვრცელდება მეოთხე რეჟიმის ფარგლებში საკონტრაქტო მომსახურების მიწოდებაზე შვედეთის ტერიტორიაზე).
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ EEA-ს რეზიდენტი ფიზიკური პირის, შვედეთის იურიდიული პირის ან იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც შექმნილია EEA-ს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია იურიდიული მისამართი, სათაო ოფისი ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი EEA-ში. კომპეტენტურმა ორგანომ, ინდივიდუალურ შემთხვევებში, შეიძლება დაუშვას ფილიალის დაფუძნებისა და რეზიდენტობის მოთხოვნებიდან გამონაკლისი.
- პარტნიორობა შეიძლება დაფუძნდეს შვედეთში, თუ მისი ყველა მფლობელი EEA-ს რეზიდენტია.
- შვედეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს EEA-ს რეზიდენტი ფიზიკური პირის, შვედეთის იურიდიული პირის ან იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც შექმნილია EEA-ს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნია იურიდიული მისამართი, სათაო ოფისი ან ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი EEA-ში. თუმცა, ქართველმა დამფუძნებლებმა გამონაკლისი სახით შეიძლება მიიღოს ნებართვა კომპეტენტური ორგანოსაგან. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. ასეთ შემთხვევაში დირექტორთა საბჭომ უნდა დანიშნოს და დაარეგისტრირდეს შვედეთის რეზიდენტი პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს მომსახურება კომპანიის/სააქციო საზოგადოების სახელით. აღნიშნული პირობები ასევე გამოიყენება სხვა კატეგორიის იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევისას.
- კოოპერატივის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს წევრების არანაკლებ 50%, საბჭოს წევრების მოადგილეების არანაკლებ 50%, მმართველი დირექტორი, მმართველი დირექტორის მოადგილე, და სულ მცირე ერთი პირი, რომელსაც აქვს კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება უნდა იყოს EEA-ს რეზიდენტი. კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება მიაწიოს გამონაკლისები ამ მოთხოვნებიდან.

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული არქიტექტურული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით მიწოდების ფარგლებში შვედეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შვედეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. მეოთხე რეჟიმისთვის, აღნიშნულ სექტორში, ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავტოს დიზაინის, ინტერიერის დიზაინის,ა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კოპანიებისათვის. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შვედეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, მომსახურების მიწოდებაზე შვედეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ისევე როგორც ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას შვედეთსაც სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შვედეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია (გთხოვთ იხ. ჰორიზონტალური შეზღუდვა). რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, აღნიშნულ სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის შვედეთის ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების ბაზარი სრულად ლიბერალიზებული პირველ რეჟიმში. აუდიტის მომსახურებასთან დაკავშირებით, მხოლოდ შვედეთში დამტკიცებულ აუდიტორებს შეუძლიათ განახორციელონ სავალდებულო აუდიტორული მომსახურება ცალკეულ უწყებებში, მათ შორის ყველა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და ფიზიკურ პირებთან მიმართებაში. მხოლოდ ასეთი პირები და რეგისტრირებული საჯარო საბუღალტრო ფირმები შეიძლება იყვნენ აქციების მფლობელები ან პარტნიორები იმ კომპანიებში, რომლებიც ეწევიან აუდიტორულ საქმიანობას (ოფიციალური მიზნებისთვის). დამტკიცებისთვის აუცილებელია EEA-ს ან შვეიცარიის რეზიდენტობა. წოდებები, როგორიცაა „დამტკიცებული აუდიტორი“ და „ავტორიზებული აუდიტორი“ შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ შვედეთში დამტკიცებული ან ავტორიზებული აუდიტორების მიერ. კოოპერატივის და სხვა ტიპის საწარმოს აუდიტორები, რომლებიც არ არიან სერტიფიცირებული ან დამტკიცებული ბუღალტრები, უნდა იყვნენ EEA-ს რეზიდენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალკეულ შემთხვევაში მთავრობა ან მის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო უწყება გადაწყვეტს სხვაგვარად. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შვედეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით შვედეთის ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია. ხოლო აუდიტორულ მომსახურებაში შვედეთს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შვედეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. ხოლო მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის შვედეთს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია. რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შევდეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, აღნიშნულ სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის შევდეთს ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია რაც შეეხება მესამე რეჟიმს გარდა ჰორიზონტალური შეზღუდვისა შევდეთს დამატებითი შეზღუდვა არ გააჩნია. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის შევდეთს ბაზარი სრულად ლიბერალიზებულია.

დამატებითი ინფორმაცია შევდეთში ბიზნესის დაწყების შესახებ

როგორც უკვე ქვეყნის მიმოხილვაში აღინიშნა, შევდეთში კომპანიის რეგისტრაციისათვის აუცილებელია რეზიდენტობის ქონა. გამონაკლის წარმოადგენს ფილიალის დარეგისტრირება და მისი მეშვეობით საქმიანობის განხორციელება. რეზიდენტობის მოთხოვნისთვის საქართველოს მოქალაქემ უნდა მიმართოს საქართველოში შევდეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას.

1. ფილიალის გახსნა

საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა შევდეთში ფილიალის მეშვეობით, რომელსაც ეყოლება დამოუკიდებელი მენეჯმენტი. ფილიალთან დაკავშირებით შევდეთს გააჩნია შემდეგი წესები:

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფილიალის რეგისტრაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება მმართველი დირექტორის მიერ;
- ფილიალი არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ის არის უცხოური კომპანიის ნაწილი;
- ფილიალის ბიზნეს საქმიანობაზე ვრცელდება შევდეთის კანონები;
- ფილიალს არ აქვს აქციონერთა კაპიტალი. მისი აქტივები საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის მთლიანი აქტივების ნაწილია.
- ფილიალს უნდა ქონდეს საქართველოში რეგისტრირებული კომპანიისგან დამოუკიდებელი ანგარიშები;
- საჭიროების შემთხვევაში ფილიალის ბუღალტერიის და ადმინისტრაციის აუდირება უნდა განხორციელდეს აღიარებული საჯარო ბუღალტერის მიერ.

ფილიალის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს შევდეთის კომპანიების რეგისტრაციის ოფისის მიერ.

რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა კომპანიის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- ცნობა, რომ საქართველოში რეგისტრირებული კომპანია არ არის გაკოტრების რეჟიმში;
- ასოციაციის წესდება, დებულებები ან ექვივალენტური დოკუმენტები, რომელიც ეხება კომპანიას;

- კომპანიის ბოლო ორი წლის ფინანსური ანგარიში;
- მინდობილობა ფილიალის მმართველი დირექტორის და მის მოადგილეზე.
- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფილიალის მმართველი დირექტორის და მმართველი დირექტორის მოადგილის ხელმოწერის უფლებამოსილებას, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, როგორიცაა სარეგისტრაციო მოწმობა ან ნოტარიუსის საჯარო ცნობა.
- ფილიალის მმართველი დირექტორის, მისი მოადგილის პასპორტების ან პირადობის მოწმობის ასლები.

დამატებით ინფორმაცია: <http://www.bolagsverket.se/en/bus/business/branch/2.1224>

<https://www.verksam.se/en/web/international/starting/get-started-business-registration-and-tax/opening-a-branch>

2. ბიზნესის დარეგისტრირება და გადასახადები

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ყველას სახის სამეწარმეო საქმიანობა, გარდა ვაჭრობის საქმიანობისა (Sole Trade) ექვემდებარება შვედეთის კომპანიების რეგისტრაციის ოფისში რეგისტრაციის გავლას საქმიანობის დაწყებამდე. ვაჭრობის საქმიანობის შემთხვევაში სავალდებულოა მხოლოდ შვედეთის საგადასახადო სააგენტოში რეგისტრაცია. შვედეთში იურიდიული პირები დარეგისტრირებისათვის საჭირო პროცედურებია:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

ა) საწესდებო კაპიტალი – შპს შეიძლება დაარსდეს ერთ ან მეტი ფიზიკური პირების ან იურიდიული პირების მიერ. შპს დაარსებისთვის საჭიროა სულ მცირე **50 000** შვედური კრონა (SEK), რომელიც უნდა განთავსდეს შვედეთის ბანკში/საკრედიტო კომპანიაში ან საკრედიტო ინსტიტუტში დეპოზიტის სახით. შესაბამისი კომპანიის მიერ გაიცემა საბანკო სერტიფიკატი, რომელიც კომპანიის რეგისტრაციის დროს წარდგენილი უნდა იქნა შვედეთის კომპანიების რეგისტრაციის სააგენტოში.

საბანკო სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დეპოზიტის ოდენობას;
- მიზნობრიობას – თანხა გამიზნულია კომპანიის საწესდებო კაპიტალისთვის;
- დეპოზიტის განთავსების თარიღს;
- ანგარიშის ნომერს;
- დეპოზიტიდან თანხის გატანის შესახებ ინფორმაცია – თუ ესეთი განხორციელდა უნდა მიეთითოს გატანის თარიღი.

საბანკო სერტიფიკატის წარდგენა შესაძლებელია, როგორც დედნის სახით ასევე, ონლაინ რეჟიმში. ონლაინ რეჟიმში წარდგენისათვის მის გამცემ ორგანოს აუცილებელია ქონდეს დამტკიცებული ორგანიზაციული სერტიფიკატი (Server ID) და ელექტრონული პირადობის ლეგიტიმაცია.

ბ) კომპანიის დარეგისტრირება – იურიდიული პირის რეგისტრაცია ხდება შვედეთის კომპანიების რეგისტრაციის ოფისის მიერ (Bolagsverket). რეგისტრაციის შემგომ კომპანიის სახელი დაცულია შვედეთის ტერიტორიაზე. შესაძლებელია კომპანიის ონლაინ რეგისტრაცია – <https://www.verksam.se/en/web/international/starting/get-started-business-registration-and-tax/limited-company>.

რეგისტრაციის მოსაკრებელი შეანდგენს 2200 შვედური კრონას (ელ. რეგისტრაციის 1900 შვედური კრონა) და როგორც წესი რეგისტრაცია ხორციელდება 5 სამუშაო დღეში. რეგისტრაციის განხორციელებისთანავე კომპანიას მიენიჭება პირადი ნომერი და გამოქვეყნდება ოფიციალურ გაზეთში (Post-och Inrikes Tidningar), რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: კომპანიის სახელს, ელ. ფოსტას და საბჭოს წევრების, დირექტორისა და ყველა სხვა ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის ვინაობას.

გ) გადასახადები და დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია – სავალდებულოა საგადასახადოში რეგისტრაცია. რეგისტრაციას ჭირდება ერთი დღე.

შპს დარეგისტრირებისთვის სრული ინფორმაცია იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე <https://www.verksamt.se/en/web/international/starting/get-started-business-registration-and-tax/limited-company>

2. ინდივიდუალური მეწარმე

ინდ, მეწარმის შემთხვევაში საგაღდებულოა დარეგისტრირება გადასახადების გადამხდელად შვედეთის საგადასახადო სააგენტოში. ნებაყოფლობითაა შვედეთის კომპანიების რეგისტრაციის სააგენტოში დარეგისტრირება. დამატებითი ინფორმაცია იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.verksamt.se/en/web/international/starting/get-started-business-registration-and-tax/sole-trader>

პროფესიული საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დოკუმენტში განხილული პროფესიული მომსახურებიდან შვედეთში მხოლოდ აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურება ხვდება ეროვნული კანონმდებლობის მიერ დადგენილ შეზღუდვებში. კერძოდ, ასეთი საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ პირებს რომლებსაც აქვთ მეორე დონის დასრულების დიპლომი და 3-4 წლიანი გამოცდილება. შვედეთში პროფესიული საქმიანობის რეგულაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მირება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე – <https://ec.europa.eu/growth/tools-databases/regprof/index.cfm>

3. სხვა დამატებითი ინფორმაცია

ნებართვებისა და განცხადებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე: <https://www.verksamt.se/web/international/alla-e-tjanster/find-permits>


შვედეთის ეკონომიკური და რეგიონალური ზრდის სააგენტო კომპანიების განვითარების ხელშეწყობა: <https://tillvaxtverket.se/english.html>

შვედეთის საგადასახადო სააგენტო – მეწარმეებს აწვდის ინფორმაციას საჭირო გადასახადებისა და ანგარიშების შესახებ. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – <https://www.skatteverket.se/>

შვედეთის კომპანიების რეგისტრაციის სააგენტო – მეწარმეებს აწვდის ინფორმაციას რეგისტრაციის, ნებართვების და შესაბამისი განცხადებების ფორმების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია: <https://bolagsverket.se/>

შვედეთის სავაჭრო პალატა წარმოადგენს მთავარ სავაჭრო ერთეულს შვედეთში და მასთან თანამშრომლობა საჭირო და აუცილებელია შვედეთში ბიზნესის დაწყების მსურველი ნებისმიერი პირისთვის. პალატა აკავშირებს ბიზნესმენებს შვედეთში 11 რეგიონული ოფისით. დამატებით ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ-გვერდს – <https://www.swedishchambers.se/>

შვედეთში მოქმედი უცხოური სავაჭრო პალატები – <https://www.swedishchambers.se/foreign-chambers-of-commerce-in-sweden.html>



შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბულალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული არქიტექტურული მომსახურება სრულად ლიბერალიზებულია პირველი რეჟიმით მიწოდების ფარგლებში ჩეხეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდება. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ჩეხეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კომპანიებისათვის. მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ჩეხეთს ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ისევე როგორც ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას ჩეხეთსაც სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ჩეხეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში მომსახურების მიწოდება სრულად ლიბერალიზებული პირველი რეჟიმის ფარგლებში. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის მეოთხე რეჟიმის ფარგლებში ჩეხეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. მეოთხე რეჟიმის ფარგლებში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ჩეხეთს ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.


მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო

მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ჩეხეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე, ლიბერალიზებულია მესამე რეჟიმის ფარგლებში. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ჩეხეთი იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტის.



შენიშვნა: წრეში მითითებული ციფრი ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბულალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4

არქიტექტურა, ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურა

არქიტექტურული და ურბანული დაგეგმვა და ლანდშაფტის არქიტექტურის მომსახურების სფეროებში პირველი რეჟიმში, ხორვატიას აქვს შემდეგი შეზღუდვები: არქიტექტურული მომსახურება – საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მომსახურების მიწოდება ხორვატიის არქიტექტორთა პალატის თანხმობის მიღების შემდეგ. საქართველოში შემუშავებული დიზაინი ან პროექტი უნდა იყოს აღიარებული (დამტკიცებული) ხორვატიაში ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, ხორვატიის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღიარების (დამტკიცების) ავტორიზაციას გასცემს მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტრო. რაც შეეხება ურბანული დაგეგმარებას – საქართველოს ფიზიკურ და იურიდიული პირებს შეუძლიათ აღნიშნული მომსახურების გაწევა მშენებლობისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტროს თანხმობის მიღების შემდეგ. რაც შეეხება მესამე რეჟიმის ფარგლებში მომსახურების მიწოდებას, ხორვატიას შეზღუდვა დაწესებული არ აქვს. ასევე, არ აქვს შეზღუდვა დაწესებული მეოთხე რეჟიმში, გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალებთან მიმართებაში, სადაც მოთხოვნილია რეზიდენტობა.

სპეციალური დიზაინის მომსახურება

ავეჯის დიზაინის, ინტერიერის დიზაინის, დიზაინისა და დეკორის მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში ლიბერალიზებულია ქართული კოპანიებისათვის. მომსახურება ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები, სადაც ხორვატიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

ICT

კომპიუტერული მომსახურების ნაწილში, ისევე როგორც ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას ხორვატიასაც სრულად ლიბერალიზებული აქვს მომსახურების მიწოდება პირველი რეჟიმის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლები, სადაც მოთხოვნილია რეზიდენტობა, ხოლო დამოუკიდებელი პროფესიონალებზე, ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული მომსახურება

ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურების მიწოდება სრულად ლიბერალიზებული პირველი რეჟიმის ფარგლებში. ხოლო აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით ქართულ აუდიტორულ კომპანიებს შეუძლიათ ხორვატიის ტერიტორიაზე აუდიტორული მომსახურების გაწევა მხოლოდ ფილიალის დაფუძნების გზით, რომელიც დაფუძნება განხორციელდება სამეწარმეო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება მესამე რეჟიმს, აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის აუცილებელია ლიცენზიის ფლობა. რაც შეეხება მეოთხე რეჟიმს, აღნიშნულ სექტორში საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებისა და დამოუკიდებელი პროფესიონალებისათვის ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით, ხორვატიას დაწესებული აქვს რეზიდენტობის მოთხოვნა, ხოლო აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აქვს აღებული.

ბაზრის მოკვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურება

ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში,


გარდა საკონტრაქტო მომსახურების მიწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები, სადაც ხორვატიას ვალდებულება არ აქვს აღებული.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ევროკავშირის ქვეყნებში პირველი რეჟიმის ფარგლებში ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია, მათ შორის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა დამოუკიდებელი პროფესიონალებისა, სადაც ხორვატია იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.

პროექტების მართვის მომსახურება

პროექტების მართვის მომსახურების კუთხითაც ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. პირველი რეჟიმის ფარგლებში მომსახურება ქართული კომპანიებისათვის ლიბერალიზებულია. ასევე ლიბერალიზებულია მესამე და მეოთხე რეჟიმის ფარგლებში, გარდა დამოუკიდებელი პროფესიონალებისა, სადაც ხორვატია იტოვებს უფლებას გამოიყენოს ეკონომიკური საჭიროების ტესტი.



დაკეტილი
სფერო

ნაწილობრივ
ლიბერალიზებული
სფერო

სრულად
ლიბერალიზებული
სფერო

შენიშვნა: წრეში
მითითებული ციფრი
ნიშნავს რეჟიმის ნომერს

ურბანული დაგეგმვა და
ლანდშაფტის არქიტექტურა
არქიტექტურული მომსახურება

1 2 3 4

დიზაინი

1 2 3 4

კომპიუტერული მომსახურება

1 2 3 4

ბულალტრული აღრიცხვა

1 2 3 4

აუდიტი

1 2 3 4

ბაზრის კვლევა და საზოგადოებრივი
აზრის გამოკითხვა

1 2 3 4

მენეჯმენტის კონსულტაცია

1 2 3 4

პროექტების მართვა

1 2 3 4

